

ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2016 წელს გაწეული
საქმიანობის შესახებ

ბ ა თ უ მ ი

2017 წელი

შესავალი

2017 წლის იანვარში აჭარის მთავრობამ 2017/2020 წლების აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია დაამტკიცა. სტრატეგია, დარგში სისტემური და ინსტიტუციონალური ცვლილებების გატარების გზით, მიზნად ისახავს განვითარების კომპლექსურ მიდგომას. მოკლევადიან პერსპექტივში დაგეგმილია ისეთი ძირეული პრობლემების მოწესრიგება, როგორცაა ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქციის შეუფერხებელი რეალიზაცია, კოოპერაციის განვითარება, ფერმერთა კონკურენტუნარიანობის ზრდა, მუნიციპალიტეტების დონეზე ახალი სასოფლო-სამეურნეო ფუნქციების დანერგვა, არსებული მიმართულებების განვითარება და სხვა. ძირითადი აქცენტი ფერმერების კეთილდღეობის ზრდაზეა გაკეთებული, ხოლო ამის მიღწევა მათი მეურნეობების შემოსავლების ზრდითაა გათვალისწინებული.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ინფორმაციას სამინისტროსა დამის სისტემაში შემავალი უწყებების მიერ 2016 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ აჭარის 2017-2020 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიასთან მიმართებაში. ანგარიშში დეტალურად არის განხილული თუ რა ამოცანების შესრულება გახდა შესაძლებელი საანგარიშო პერიოდში, რომელი სტრატეგიული მიმართულებების შესრულებას ემსახურება ამ ამოცანების შესრულება, რა არის მიმდინარე და მოსალოდნელი შედეგები.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2016 წლის სტრუქტურა და მასში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია გთხოვთ იხილოთ **დანართი №1-** ში.

2. სამინისტროს ბიუჯეტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქვეუწყებო დაწესებულებების 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია გთხოვთ იხილოთ **დანართი №2-** ში.

3. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2016 წლის ანგარიში

სტრატეგიული მიმართულება 3.1:	აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება
დონისძიება 3.1.1.	ფერმერთა ცოდნის ამაღლება და ეფექტური სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების გაწევა
ამოცანები	შესრულების ინდიკატორი შესრულება
მემცენარეობის დარგში პრაქტიკული ექსტენციის პროგრამის მომზადება;	აჭარის რეგიონისთვის სტრატეგიული კულტურების ექსტენციის პრაქტიკული პროგრამის დოკუმენტი; ✓
თევზსაშენი მეურნეობების მიმართულებით პრაქტიკული ექსტენციის პროგრამის მომზადება;	აჭარის რეგიონში მოქმედი თევზსაშენი მეურნეობებისთვის ექსტენციის პრაქტიკული პროგრამის დოკუმენტი; ✓
მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მიმართულებით პრაქტიკული ექსტენციის პროგრამების მომზადება;	აჭარის რეგიონში მოქმედი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მწარმოებლებისთვის ექსტენციის პრაქტიკული პროგრამის დოკუმენტი; X
ექსტენციის პროგრამის მიწოდება ფერმერებისათვის, ასევე სოფლის მეურნეობაში მოქმედი კოოპერატივებისათვის	განხორციელებული ექსტენციის პროგრამების რაოდენობა; ✓
მედია ექსტენციის შემუშავება და მიწოდება (ბეჭდვითი; აუდიო; ვიდეო; სატელევიზიო; ინტერნეტისა და სატელეფონო შეტყობინებების მეშვეობით);	შემუშავებული მედია ექსტენციის ინსტრუმენტების რაოდენობა (ბეჭდვითი, აუდიო, ვიდეო, სატელევიზიო, ინტერნეტით, სატელეფონო შეტყობინებებით); ✓
აგროტურების, საინფორმაციო შეხვედრების და სწავლება - ტრენინგების ორგანიზება ფერმერებისათვის;	ტრენინგებზე, სემინარებზე, აგროტურებზე და ა.შ. დასწრებული ფერმერების რაოდენობა; ✓
მაღალკვალიფიცირებული დარგის სპეციალისტების მოწვევა გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით;	მაღალკვალიფიცირებული ექსპერტების რაოდენობა; ✓

ამოცანა №1: მემცენარეობის დარგში პრაქტიკული ექსტენციის პროგრამის მომზადება.

ამოცანა №2: თევზსაშენი მეურნეობების მიმართულეებით პრაქტიკული ექსტენციის პროგრამის მომზადება.

ამოცანის მიზანია: აჭარის რეგიონში, მემცენარეობის მიმართულეებით სტრატეგიული კულტურების და თევზსაშენი მეურნეობებისთვის სასოფლო ექსტენციის პროგრამის შემუშავება, რომლის საფუძველზეც სამინისტრო განახორციელებს ექსტენციის მომსახურების მიწოდებას პროგრამულად - კერძო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით. ეს მიდგომა ხელს შეუწყობს მოთხოვნაზე ორიენტირებული კერძო ექსტენციის მომსახურების განვითარებას. თავად პროგრამის განხორციელების მოლოდინია ფერმერების მიერ წარმოებული მოსავლის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა, რაც საბოლოოდ დადებითად უნდა აისახოს მათ შემოსავლებზე.

2016 წლის 4 კვარტალში, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ექსპერტთა ჩართულობით, მომზადდა პროგრამა „აჭარის რეგიონისთვის სტრატეგიული კულტურების ექსტენციის პრაქტიკული პროგრამის დოკუმენტი“. დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებულია მცენარეული წარმოების კულტურების სტრატეგიული ნუსხა (9 მიმართულება, 13 კულტურა), რომლის ფარგლებშიც 2017 წელს დაგეგმილია უშუალოდ პროგრამის განხორციელება - ფერმერთათვის ექსტენციის მომსახურების სრული ციკლის მიწოდება სამ საექსტენციო ფაზად დაწყებული ნიადაგის მომზადებით და დასრულებული მცენარეთა დაცვის ღონისძიებებით. ექსტენციის პროგრამა, განხორციელების ეტაპზე ასევე ითვალისწინებს ა) აგროტურების ორგანიზებას (წარმატებული ფერმერების ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით); ბ) სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობას; გ) ფერმერთა სხვადასხვა სახის ტექნიკური და აგროტექნოლოგიური ლიტერატურით უზრუნველყოფას (ბროშურები, ბუკლეტები და ა.შ.).

2016 წლის 4 კვარტალში, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ექსპერტთა ჩართულობით, მომზადდა პროგრამა „აჭარის რეგიონში მოქმედი თევზსაშენი მეურნეობებისთვის ექსტენციის პრაქტიკული პროგრამის დოკუმენტი“. დოკუმენტის ფარგლებში, აჭარის ტერიტორიაზე მოქმედ 27 თევზსაშენი მეურნეობისთვის, 2017 წელს დაგეგმილია უშუალოდ პროგრამის განხორციელება - ექსტენციის მომსახურების სრული ციკლის მიწოდება სამ საექსტენციო ფაზად დაწყებული ნიადაგის მომზადებით, თესვით, სხვლით, სასუქის შეტანითა და მორწყვით - დასრულებული მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გატარებით. ექსტენციის პროგრამა, განხორციელების ეტაპზე ასევე ითვალისწინებს ა) აგროტურების ორგანიზებას (წარმატებული თევზსაშენი მეურნეობების ცოდნის და გამოცდილების გაზიარების მიზნით); ბ) სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობას; გ) ფერმერთა სხვადასხვა სახის ტექნიკური და პროფესიული ლიტერატურით უზრუნველყოფას (ბროშურები, ბუკლეტები).

ამოცანა №3: ექსტენციის პროგრამის მიწოდება ფერმერებისათვის, ასევე სოფლის მეურნეობაში მოქმედი კოოპერატივებისათვის არასამთავრობო და კერძო სექტორის ჩართულობით.

ამოცანის მიზანია: აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან ექსტენციის მომსახურების ფერმერებისათვის პროგრამულად მიწოდება კერძო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით. ეს მიდგომა ა) ხელს შეუწყობს მოთხოვნაზე ორიენტირებული კერძო ექსტენციის მომსახურების განვითარებას; ბ) თავად პროგრამის განხორციელების მოლოდინია ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქტის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა, რაც საბოლოოდ დადებითად უნდა აისახოს მათ შემოსავლებზე.

სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო დეპარტამენტის განყოფილების სპეციალისტების მიერ აგრარული დარგის სხვადასხვა მიმართულებით განხორციელდა ფერმერთა კონსულტაციები. კერძოდ, მემცენარეობის მიმართულეებით კონსულტაცია გაეწია 12 000 ფერმერს, აგროსაინჟინრო და ტექნოლოგიური მიმართულებით 3500-ზე მეტ ფერმერს, კოოპერატივების შექმნის მიმართულებით 3 000-მდე ფერმერს.

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ხელოვნური განაყოფიერების სამსახურის სპეციალისტებმა მოსახლეობის შეტყობინებების საფუძველზე განახორციელეს 1 356 გამოძახებაზე გასვლა, ხელოვნური

განაყოფიერება ჩაუტარდა 1 205 ფურს. 2016 წელს სატელეფონო და ოფისში მომართვის საფუძველზე კონსულტაცია გაეწია 1 810 ფერმერს.

ამოცანა №4: მედია ექსტენციის შემუშავება და მიწოდება (ბეჭდვითი; აუდიო; ვიდეო; სატელევიზიო; ინტერნეტისა და სატელეფონო შეტყობინებების მეშვეობით).

ამოცანის მიზანია: მედია საშუალებების მაქსიმალური გამოყენება, რაც საშუალებას იძლევა: ა) ექსტენციის არეალი მაქსიმალურად გაფართოვდეს, რათა გაცილებით მეტმა ფერმერმა ისარგებლოს მიწოდებული მომსახურებით; ბ) მოხდეს ცოდნის თავმოყრა, სისტემატიზაცია და ფერმერებისათვის განსაკუთრებული, მათთვის სასარგებლო ფორმატით მიწოდება.

სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის მიერ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით დაიბეჭდა სახელმძღვანელო „ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების ძირითადი მავნებელ-დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“. შემუშავდა, დაიბეჭდა და პერიოდულად ვრცელდებოდა აგრარული დარგის სხვადასხვა სახის საინფორმაციო ბუკლეტები. აგროსერვის ცენტრის ვებ. გვერდზე (www.agrosc.ge) განთავსდა 20 ვიდეო გაკვეთილი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებაზე.

ინტერფაქტისთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საანგარიშო პერიოდში, აგროსერვის ცენტრის მიერ: გავრცელებული იქნა 68 საინფორმაციო მასალა; აგროსერვის ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ და ცენტრალურ ტელევიზიებთან, მათ საინფორმაციო სამსახურებთან და სასოფლო სამეურნეო პროექტებთან, რის შედეგადაც ჯამში მომზადებული და გაშვებულია 45 სატელევიზიო სიუჟეტი.

SMS ნიუსის სახით ფერმერებს 45-ჯერ (8900 ფერმერს) გაეგზავნა შეტყობინება სხვადასხვა სახის აგროლონისძიებაზე.

ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდებოდა ვებ გვერდისა და ფეისბუქ გვერდის განახლება;

ამოცანა №5: აგროტურების, საინფორმაციო შეხვედრების და სწავლება/ტრენინგების ორგანიზება ფერმერებისათვის.

ამოცანის მიზანია: ა) მიიტანოს და დაამკვიდროს ფერმერებთან შესაბამისი ცოდნა და უნარები თანამედროვე სასოფლო სამეურნეო საქმიანობის და მისი წარმოების შესახებ; ბ) წარმოაჩინოს წარმატებული ფერმერების მაგალითები ხოლო მათი გამოცდილება და ცოდნა გაუზიაროს სხვა ფერმერებს.

2016 წელს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო საკონსულტაციო დეპარტამენტის და ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ექსტენციის სამსახურის მიერ ტრენინგი/სწავლება განხორციელდა რეგიონის 150-ზე მეტ ფერმერთან:

2016 წლის პირველი კვარტალი:

- გვარას სანერგე მეურნეობაში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კლევითი ცენტრის სპეციალისტებმა რეგიონის ფერმერებს ჩაუტარეს ტრენინგი თემაზე: „თხილის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები“;
- ქედის მუნიციპალიტეტში, გამგეობის სააქტო დარბაზში, ფერმერთათვის პროფესორმა დავით თამარაშვილმა ჩაატარა ტრენინგი თემაზე: „ვაზის მოვლა-მოყვანა და ღვინის დაყენება“;
- სომხეთიდან მოწვეულმა სპეციალისტებმა რეგიონის ფერმერებსა და ვეტერინარებს ჩაუტარეს ტრენინგი თემაზე: „ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებები“;

2016 წლის მეორე კვარტალი:

- ჩაქვის ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობაში ტრენინგი ჩაუტარდა მეციტრუსე ფერმერებს თემაზე „ციტრუსის გასხვლა ფორმირება“;

- გვარას ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში ტრეინინგი ჩაუტარდა ფერმერებს თემაზე: „მოცვის მოვლა-მოყვანა“;
- მეთხილეობით დაკავებულ ფერმერებს გვარას ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში ტრეინინგი ჩაუტარდა თემაზე: „თხილის ტექნიკური რეგლამენტი“;

2016 წლის მეოთხე კვარტალი:

- ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ბაზაზე ჩატარდა თეორიული სწავლება კაკლის მოვლა-მოყვანასთან დაკავშირებით;
- ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი ავსტრიის განვითარების ფონდთან (ADA) და სომხეთის ფონდთან (CARD) ერთად ახორციელებს პროექტს „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა საქართველოში“. პროექტის ფარგლებში სწავლება ჩაუტარდა 15 ვეტერინარ სპეციალისტს. ამავე პროგრამის ფარგლებში 2017 წელში იგეგმება ტრეინინგების ჩატარება და ასევე სომხეთისა და ავსტრიაში ვეტერინარების სტაჟირება. პროგრამა ითვალისწინებს ერთი სტუდენტის ფასიან სტაჟირებასაც;
- ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 30 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება „მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“, ბიუჯეტი 267 700 ლარი. პროგრამის ფარგლებში 2017 წელს რეგიონის ფერმერებს ჩაუტარდებათ სწავლება-კონსულტირება კოოპერირებისა და აგრარული დარგის სხვადასხვა პერსპექტიული მიმართულებით;
- მოსავლის აღების შემდგომი პროცესების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ტრეინინგი გაიმართა აგროსერვის ცენტრის გვარას ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში ტრეინინგი ჩატარა სამეცნიერო კლევითი ცენტრის თანამშრომელმა ეკა კაციტაძემ;
- კოოპერატივ „ლურჯას“ სადემონსტრაციო ნაკვეთზე ფერმერებისათვის 3-ჯერ გაკეთდა მინდვრის დღების ორგანიზება. შეხვედრების თემა იყო კენკროვანი კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ღონისძიებები;

ამოცანა №6: მაღალკვალიფიცირებული დარგის სპეციალისტების მოწვევა გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით.

ამოცანის მიზანია: ა) დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება; ბ) ფერმერებისთვის თანამედროვე, კვალიფიცირებული ცოდნის და უნარ ჩვევების გადაცემა.

2016 წლის პირველი კვარტალი

- ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის და კოოპერატივი „საწურის“ ორგანიზებით PUM -ის პროექტის ფარგლებში მოწვეული იქნა ჰოლანდიელი ღვინის ტექნოლოგი გერჰარდ ჰორსტინკი. პროგრამის ფარგლებში ექსპერტმა დაათვალიერა აჭარის რეგიონში მოქმედი სხვადასხვა ტიპის მარნები, ასევე ადგილობრივ მეღვინეებსა და გიდებს გაუზიარა თანამედროვე ღვინის წარმოების გამოცდილება. ჰოლანდიელმა ექსპერტმა ასევე ტრეინინგი ჩაუტარა მევენახე ფერმერებსა და ღვინის მწარმოებლებს;

2016 წლის მეორე კვარტალი

- ავსტრიის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, ADA “Animal Health Management in Cross-Border Areas of Armenia and Georgia” ფაზა 2 პროექტის ფარგლებში, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ბაზაზე, სომხეთიდან მოწვეული სპეციალისტის არმან ოჰანიანის მიერ ჩატარდა სემინარი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების თემაზე;

2016 წლის მეოთხე კვარტალი

- ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, ლატვიიდან მოწვეული ვეტერინარის ანდრის ზალიტისმის მიერ, რეგიონის ვეტერინარი სპეციალისტებისთვის ჩატარდა სწავლება თემაზე: ვეტერინარული ბიზნესის ორგანიზება და კლინიკური მასტიტი.

ღონისძიება 3.1.3.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრის განვითარება და მიწათსარგებლობაში თანამედროვე მიდგომების დანერგვა;

ამოცანები	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შესწავლა	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწების შესწავლილი ფართობების რაოდენობა;	✓
კრძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შესწავლა	კრძო საკუთრებაში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწების შესწავლილი ფართობების რაოდენობა;	✓
„მიწათსარგებლობის თანამედროვე მეთოდების“ დოკუმენტის შექმნა (ეკონომიკური ეფექტურობის ზრდა, ნაყოფიერების ამაღლება, ნიადაგის დაცვა და ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა) და მისი დანერგვა, როგორც კრძო მეურნეობებში, ასევე მისი გათვალისწინება საინვესტიციო პროექტებში;	„მიწათსარგებლობის თანამედროვე მეთოდების“ დოკუმენტი; დოკუმენტის პუბლიკაცია და გავრცელება	X
აჭარის რეგიონში სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის კონსოლიდაციის სტრატეგიის და შემდგომი სამოქმედო გეგმის შემუშავება;	აჭარის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კონსოლიდაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა	X
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწათსარგებლობის საკითხების საკანონმდებლო დონეზე რეგულირების მიზნით წინადადებების მომზადება და წარდგენა;	ანალიტიკური ნარკვევების ან/და საკანონმდებლო ინიციატივების რაოდენობა მიწათსარგებლობის საკითხებთან მიმართებაში;	X
სამინისტროს პროგრამების/ ქვეპროგრამების ფარგლებში მიწის კონსოლიდაციის საცდელი პროექტების შემუშავება და განახორციელება;	მიწის კონსოლიდაციის საპილოტე პროექტების რაოდენობა;	X

ამოცანა №1: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შესწავლა.
ამოცანის მიზანია: სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული მიწების ფიზიკური საზღვრების დაზუსტება და ზედაპირის მდგომარეობის შესწავლა; ნიადაგის შემადგენლობის ანალიზი და კლიმატურ-გეოგრაფიული ზონალურობის განსაზღვრა; სასოფლო-სამეურნეო წარმოების კუთხით პოტენციალის განსაზღვრა და პრიორიტეტების გამოკვეთა; საინვესტიციო ბიზნეს პროექტების შემუშავება; მიწის ბაზრის განვითარება, მიწათსარგებლობის თანამედროვე მიდგომების დანერგვა, ფრაგმენტაციის დონის შემცირება, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაციონალური გამოყენება, შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვით სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების განხორციელება.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების შესახებ მონაცემები დამუშავებული იქნა ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების მაგალითზე. კვლევის შედეგად შესწავლილი იქნა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად ვარგისი მიწის ფართობები, კერძოდ:

ქობულეთის მუნიციპალიტეტში:

- 1 ჰა-მდე მიწის ფართობები გამოიკვეთა 537 კონტურში (ნაკვეთში);
- 1-3 ჰა-მდე მიწის ფართობები გამოიკვეთა 692 კონტურში;
- 5-10 ჰა-მდე მიწის ფართობები გამოიკვეთა 139 კონტურში;
- 20-50 ჰა-მდე მიწის ფართობები გამოიკვეთა 38 კონტურში;
- 50-100 ჰა-მდე მიწის ფართობები გამოიკვეთა 7 კონტურში;

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში:

- 1 ჰა-მდე მიწის ფართობები გამოიკვეთა 381 კონტურში (ნაკვეთში);
- 1-3 ჰა-მდე მიწის ფართობები გამოიკვეთა 168 კონტურში;
- 5-10 ჰა-მდე მიწის ფართობები გამოიკვეთა 95 კონტურში;
- 20-50 ჰა-მდე მიწის ფართობები გამოიკვეთა 9 კონტურში;

კვლევებით დადგინდა, რომ 100 და მეტი ჰა ფართობის კონტური რეგიონში არის მხოლოდ ქობულეთის მუნიციპალიტეტში, კერძოდ 4 შემთხვევაში. მათ შორის: ჩოლოქის დასახლებაში - 2 კონტური (119,3 ჰა და 133,7 ჰა), ფიჭვნარის ტერიტორიაზე - 1 კონტური (248,9 ჰა) და დაბა ოჩხამურში - 1 კონტური (550,4 ჰა).

ზემოაღნიშნული ბაზა საშუალებას იძლევა აღნიშნული მიწის ფართობები გაანალიზებული იქნეს სასოფლო სამეურნეო განვითარების, მათ შორის ინვესტიციების განხორციელების პერსპექტივაშიც.

მიმდინარეობს ინფორმაციების მომზდება ნიადაგის შემადგენლობის, ანალიზისა და კლიმატურ-გეოგრაფიული ზონალურობის განსაზღვრის, ასევე პრიორიტეტების გამოკვეთის, საინვესტიციო ბიზნეს პროექტების შემუშავებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებული სხვა საქმიანობების განხორციელების შესახებ.

ამოცანა №2: კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შესწავლა.

ამოცანის მიზანია: ნაკვეთების შესწავლილი საფუძველზე ფერმერთა რეესტრის მომზადება; ნაკვეთების პოტენციალის შესწავლა; საბოლოოდ კი ფერმერთა კერძო მეურნეობების ეფექტურობის ამაღლების მიზნით კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება;

სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის მიერ დამუშავებული იქნა იუსტიციის სამინისტროს სსიპ „იუსტიციის სახლიდან“ მიღებული ელექტრონული ინფორმაცია, კერძოდ რეგიონის მუნიციპალიტეტებში დარეგისტრირებული კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ. ჩატარებული სამუშაოების შედეგად შეიქმნა ბაზა, რომლის თანახმადაც:

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებულია 8 835 ფერმერი, რომელზეც ირიცხება კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგული;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში - 21 214 ფერმერი;

- ქედის მუნიციპალიტეტში - 7 635 ფერმერი;
- შუახევის მუნიციპალიტეტში - 5 968 ფერმერი;
- ხულოს მუნიციპალიტეტში - 5 200 ფერმერი;

თითოეული კომლის საკუთრებაში არსებული მიწის ფართობები ძირითადად ვარირებს 0,25 ჰა-დან 0,5 ჰა-ს ფარგლებში, მცირეა კერძო საკუთრებაში 1 ჰა-მდე არსებული მიწის ფართობების რაოდენობა.

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით (პროექტი ENPARD) და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით (UNDP) შემუშავებული იქნა „ექსტენციის სოფტი“. ეს არის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას იძლევა ფერმერთა მონაცემები დეტალურად იქნეს აღრიცხული, ასევე შესაძლებელს ხდის ფერმერზე გაწეული ექსტენციის აღრიცხვისა, მისი ისტორიის წარმოებისა და ექსტენციის შედეგად მიღებული ეფექტის მონიტორინგისა.

აღნიშნულ ბაზაში არსებული ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ ფერმერის საკუთრებაში არსებული მიწის ფართობის, ტიპის, სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისა და სხვა შესაძლებლობების შესახებ. საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის მიერ ექსტენციის სოფტის ფარგლებში დამუშავებულია 4231 ფერმერის შესახებ ინფორმაცია (ხელოვნური განყოფიერებისა და ნიადაგის ანალიზების გათვალისწინებით), ხოლო საინფორმაციო-საკონსულტაციო დეპარტამენტის მუნიციპალური განყოფილების სპეციალისტების მიერ დამუშავებულია 186 ფერმერის მონაცემი. კერძოდ, ხულოს მუნიციპალიტეტში - 45, შუახევის მუნიციპალიტეტში - 35, ქედის მუნიციპალიტეტში - 106.

ღონისძიება 3.1.6.

სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა

ამოცანები

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით ფერმერებთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების თემაზე ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები;

✓

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ მედია პაკეტის (ბეჭდური, ვიდეო, სატელევიზიო) მომზადება და გავრცელება;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პოპულარიზაციის მედია ინსტრუმენტები და მათი რაოდენობა (ბეჭდური, ვიდეო, სატელევიზიო);

X

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სიცოცხლისუნარიანი სქემების შემუშავება და დემონსტრირება;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სიცოცხლისუნარიანი სქემების შემუშავებული და ფერმერებზე მიწოდებული რაოდენობები;

X

წარმატებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მაგალითების წარმოჩენა (აგროტურების ორგანიზება, გამოცდილების გაცვლა და ა.შ.);

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებული აგროტურების რაოდენობა;

✓

სამინისტროს მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

სამინისტროს და მისი საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ შემუშავებული და განხორციელებული პროგრამების რაოდენობა, რომლებიც ორიენტირებულია სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარებაზე;

✓

მჭიდრო თანამშრომლობა კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან, მათი პროექტების მიმართ ინფორმირებულობის ამაღლებისა და ამ პროექტების რეგიონში დანერგვის მიზნით;

კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან ერთად განხორციელებული აქტივობების რაოდენობა;

✓

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრებისთვის სასწავლო/ტრენინგ პროგრამების შედგენა და მიწოდება;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრებზე სასწავლო პროგრამების მიწოდების მიზნით ჩატარებული შეხვედრების/სწავლებლების/ სემინარების რაოდენობა;

X

ამოცანა №1: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით ფერმერებთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება.

ამოცანის მიზანია: რეგიონის ფერმერთა ცნობიერების ამაღლება კოოპერირებით მოტანილი სარგებელის შესახებ, კოოპერაციული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა ფერმერული მეურნეობების გამსხვილებისა და საწარმოო საშუალებების გაიაფების გზით.

სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო დეპარტამენტის ჩართულობით, ჯამში, ყველს მუნიციპალიტეტის მიხედვით, ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეხვედრებში 2000-ზე მეტმა ფერმერმა მიიღო მონაწილეობა. უშუალოდ 12 სასოფლო სამეურნეო კოოპერატივს გაეწია სხვადასხვა ტიპის რეკომენდაცია, მათ შორის წესდებისა და სხვა ტიპის დოკუმენტაციის მოწერიების კუთხით.

რეგულარულად ხდებოდა აჭარაში რეგისტრირებული კოოპერატივის წევრების ინფორმირება იმ პროგრამებთან დაკავშირებით, რომელსაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოოპერატივების განვითარების სააგენტო ახორციელებს. კერძოდ, 2016 წელში ასეთი იყო რძის, მექანიზაციისა და მეფუტკრეობის პროგრამები.

ა(ა)იზ აგროსერვის ცენტრის მიერ ფერმერებს პერიოდულად მიეწოდებოდა ინფორმაცია სასწავლო და ტრენინგ კურსების შესახებ, რომელსაც ახორციელებდნენ სხვადასხვა დაწესებულებები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობის მიზნით კოოპერატივის წევრებისთვის სხვადასხვა თემატიკაზე 12 ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგები ჩატარდა შემდეგ ძირითად თემატიკაზე: „ღვინის ევროპულად დაყენება“, „ღვინის დეგუსტაცია“, „თხილის მომლა მოყვანის ტექნოლოგიები“, „თხილის ტექნიკური რეგლამენტი“, „მოცვის მოვლა მოყვანა“ და სხვა.

ამოცანა №2: წარმატებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მაგალითების წარმოჩენა (აგროტურების ორგანიზება, გამოცდილების გაცვლა და ა.შ.).

ამოცანის მიზანია: ა) კოოპერატივების სიცოცხლისუნარიანობის ხელშეწყობი ღონისძიებების გატარება, ბ) კოოპერატივის წევრთა ცნობიერების ამაღლება; და გ) კოოპერაციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

2016 წლის პირველ კვარტალში გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ კოოპერტივ „ლურჯა“-ს მეურნეობაში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) მოეწყო აგრო ტური. აგროტურში მონაწილე მცხეთა-მთიანეთის ფერმერები 20-მდე კოოპერატივს წარმოადგენდნენ, აღნიშნული აგროტურის ორგანიზატორი იყო ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“;

საანგარიშო პერიოდში აგროსერვის ცენტრის სადემონსტრაციო ნეკვეთებზე ფერმერებისთვის ორგანიზება გაუკეთდა 6 აგროტურს;

3 აგრო-ტური მოეწყო შპს „მექანიზატორის“ ფილიალებში;

ამოცანა №3: სამინისტროს მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

ამოცანის მიზანია: კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა და მათი სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერება; კოოპერატივების პოპულარიზაცია; ფერმერების სტიმულირება კოოპერატივების განვითარების მიმართულებით;

კოოპერირების მხარდასაჭერად, სამინისტროს 2016 წლის ქვეპროგრამების ფარგლებში შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე, ბენეფიციარების შერჩევის ეტაპზე უპირატესობა ენიჭებოდა კოოპერატივის წევრ ფერმერებს.

სამინისტროში შემუშავებული იქნა 2017 წლის ქვეპროგრამები, რომლებიც ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების განვითარების ხელშეწყობაზე. კერძოდ:

1. „ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების რეალიზაციის ხელშეწყობა“, ბიუჯეტით 2 644 540 ლარი;
2. „სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“, ბიუჯეტით 2 559 957 ლარი;
3. „მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა“, ბიუჯეტი - 950 160 ლარი;

აგროსერვის ცენტრის მიერ შემუშავებული იქნა 2017 წლის ქვეპროგრამა „საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა“, რომელიც ითვალისწინებს ფერმერების, მათ შორის კოოპერატივის წევრების სწავლებას/კონსულტირებას. ტრენინგები თემატურად მრავალფეროვანია, კერძოდ მეხილეობა, მევენახეობა, სასათბურე მეურნეობა, მებოსტნეობა, მეღვინეობა და მეფრინველეობა.

გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში „ENPARD AJARA - სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გადაეცათ საწარმოო საშუალებები. კერძოდ:

- კოოპერატივ „ლეღვა“-ს გადაეცა 1150 ერთეული პლასტმასის ყუთი და ციტრუსის დამხარისხებელი ხაზის შემადგენელი ნაწილი;
- კოოპერატივ „მეგობრობა“-ს გადაეცა ერთი ერთეული ბალახის ინტენსიურად მოყვანის ჰიდროპონიკის დანადგარი. აღნიშნული დანადგარით შესაძლებელია დღეში 380 კგ მწვანე მასის მიღება. ზამთრის პერიოდში შესაძლებელია ფურის წველადობა გაიზარდოს დღეში 3-4 ლიტრით. ასევე ამავე პროგრამის ფარგლებში ფერმერებს გადაეცათ წიწილის გამოსჩეკი 7 ცალი ინკუბატორი და 14 ცალი წიწილების გამოსაზრდელი გალია;
- კოოპერატივ „ხალა“-ს გადაეცა 9000 ცალი პლასტმასის ყუთი;
- კოოპერატივ „აგროპროგრეს“-ს გადაეცა 1000 ცალი პლასტმასის ყუთი და პალეტების გადასაადგილებელი ურიკა;
- კოოპერატივ „აკვრეთა“-ს გადაეცა კლმახის ლიფსიტების გამოსაჩეკი ინკუბატორი;
- კოოპერატივ „ერთობა 2016“-ს გადაეცა სასათბურე კონსტრუქცია;
- კოოპერატივ „სუბტროპიკს“ გადაეცა თხილის ამკრეფი და დამრჩევი აპარატი.

ამოცანა №4: მჭიდრო თანამშრომლობა კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან, მათი პროექტების მიმართ ინფორმირებულობის ამაღლების და ამ პროექტების აჭარის რეგიონში დანერგვის მიზნით.

ამოცანის მიზანია: კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ დაგეგმილ პროექტებში ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების ჩართულობის ზრდა; ფერმერთა ცნობიერების ამაღლება კოოპერირების უპირატესობებზე; კონკრეტული პროექტების მოზიდვა და დანერგვა აჭარაში;

სამინისტროს საინფორმაციო საკონსულტაციო დეპარტამენტის თანამშრომლები რეგულარულად თანამშრომლობდნენ კოოპერატივების მართვის სააგენტოსთან ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით. ამ ფორმატში საინფორმაციო საკონსულტაციო დეპარტამენტის თანამშრომლები პერიოდულად მიაწვდიან სტატისტიკური, მონიტორინგისა თუ სხვა ტიპის ინფორმაციას კოოპერატივების განვითარების სააგენტოს.

2016 წლის პირველ კვარტალში ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის გვარას ოფისში, გაიმართა შეხვედრა რეგიონის მეფუტკრე ფერმერებსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გაერთიანების თავმჯდომარე, ბატონ გიორგი მიშელაძეს შორის.

ღონისძიება 3.1.7.

სოფლის მეურნეობაში საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება

ამოცანები	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
სოფლის მეურნეობის საინვესტიციო პოტენციალის კვლევა/შესწავლა;	აჭარის სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის კვლევის დოკუმენტი;	X
საორიენტაციო/ტიპური ბიზნეს-გეგმების შემუშავება სოფლის მეურნეობის დარგში;	საორიენტაციო/ტიპური შემუშავებული ბიზნეს-გეგმების რაოდენობა;	✓
საინფორმაციო-საინვესტიციო მედია პაკეტების შემუშავება და გამოცემა (ბუკლეტები, ფლაერები, ვიდეო კლიპები, პრეზენტაციები საინვესტიციო ობიექტების შესახებ);	საინფორმაციო საინვესტიციო მედია ინსტრუმენტების რაოდენობა (ბუკლეტები, ფლაერები, ვიდეო კლიპები, პრეზენტაციები საინვესტიციო ობიექტების შესახებ)	✓
ბიზნეს ფორუმებში, გამოფენებში, საინვესტიციო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ;	ჩატარებული ან/და მონაწილეობა საინვესტიციო თემატიკასთან დაკავშირებული ბიზნეს ფორუმების, გამოფენების, საინვესტიციო ღონისძიებების რაოდენობაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ;	✓
სპეციალიზირებული საინფორმაციო ვებ-გვერდის მომზადება;	აჭარის რეგიონში, სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის პოპულარიზაციისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის შემცველი ინტერნეტ გვერდი/ჩანართი;	X
მჭიდრო კავშირი ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსთან, ასევე სხვადასხვა ფონდებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;	აჭარის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის თემატიკაზე ჩატარებულ ღონისძიებებში ჩართული სტეიკჰოლდერების რაოდენობა და ვინაობა;	X

ამოცანა №1: საორიენტაციო/ტიპური ბიზნეს-გეგმების შემუშავება სოფლის მეურნეობის დარგში.

ამოცანის მიზანია: რეგიონის აგრარული დარგის პოტენციალის წარმოჩენა და ათვისება; არსებული პოტენციალის რეალიზაციის ფინანსურ ეკონომიკური დასაბუთების უზრუნველყოფა; ბიზნეს პროექტების შეთავაზება პოტენციური ინვესტორებისათვის.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან თანამშრომლობის ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით, ორგანიზაცია PMC ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა საინვესტიციო ბიზნეს გეგმები მეფრინველეობაში, მეცხოველეობაში, მებოსტნეობაში (სასათბურე მეურნეობები). მიმდინარეობს ამ პროექტების თარგმნა ინგლისურ და რუსულ ენებზე მათი შემდგომი გავრცელების მიზნით;

ადგილობრივი წარმოების სტრატეგიული კულტურების ხელშეწყობის მიზნით 2017 წელს განსახორციელებელი კვლევის სახით მომზადდა და ბიუჯეტირებული იქნა კვლევა ციტრუსის მიზნობრივ ბაზრებზე შეღწევის ლოჯისტიკური პრობლემების გამოვლენის და მათი დაძლევის რეკომენდაციების შესახებ;

ამოცანა №2: საინფორმაციო-საინვესტიციო მედია პაკეტების შემუშავება და გამოცემა (ბუკლეტები, ფლაერები, ვიდეო კლიპები, პრეზენტაციები საინვესტიციო ობიექტების შესახებ).

ამოცანის მიზანია: რეგიონის აგრარული დარგის პოტენციალის წარმოჩენა და ათვისება; თანამშრომლობის გაღრმავება უცხოელ ინვესტორებთან, სპეციალიზირებულ ფონდებთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და დონორ ორგანიზაციებთან; ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტიციებს მოზიდვის შესაძლებლობა.

აგრარული დარგის საინვესტიციო პოტენციალის წარმოჩენის მიზნით სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტმა შეიმუშავა ინფორმაცია, რომელიც განთავსდა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცემულ ჟურნალში „INVEST IN BATUMI“. მისი მეშვეობით პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ მიიღონ გარკვეული პირველადი ინფორმაცია სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრისა და სსიპ ლაბორატორიის კვლევითი ცენტრის შესაძლებლობებზე, ასევე რეგიონში, აგრარული მიმართულებით ინვესტიციების განხორციელების პერსპექტივებზე.

ამოცანა №3: ბიზნეს ფორუმებში, გამოფენებში, საინვესტიციო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ;

ამოცანის მიზანია: რეგიონის აგრარული დარგის პოტენციალის წარმოჩენა, ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა, მეწარმე სუბიექტებს შორის ახალი ბიზნეს კავშირების დამყარება პერსპექტიული თანამშრომლობის განვითარების მიზნით

2016 წლის მე-3 კვარტალი

- ქ. ბათუმში გაიმართა სასურსათო პროდუქციისა და ტექნოლოგიების მე-6 საერთაშორისო გამოფენა გაიმართა. გამოფენის ორგანიზატორი იყო შპს GEONET EXPO, ხოლო თანაორგანიზატორი - აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო. გამოფენაში მონაწილეობდა 50-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიები;

2016 წლის მე-3 კვარტალი

- ციტრუსის სეზონის ფარგლებში რეგიონში პირველად გაიმართა „ციტრუსის საერთაშორისო ფორუმი და სინფორმაციო ტური“, რომელსაც ესწრებოდა 8 ქვეყნის 19 მსხვილი ციტრუსის ექსპორტიორი კომპანია. ციტრუსისთვის შესაძლებელი გახდა ახალი ბაზრების ათვისება. წელს ჩვენი ციტრუსი პირველად მოხვდა ისეთ ბაზრებზე როგორცაა უზბეკეთი, ყირგიზეთი, პოლონეთი;

დონისძიება 3.1.8.

ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობი დონისძიებების გატარება და მარკეტინგული პროგრამის განხორციელება

ამოცანები

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქტის შეღწევის ხელისშემშლელი ფაქტორების შესწავლა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება;

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების რაოდენობა, რომელზეც ჩატარებული იქნა ანალიტიკური კვლევები მათი საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის/შესვლის თაობაზე;

✓

ადგილობრივი პროდუქტის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების მიხედვით რეგისტრაცია;

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების რაოდენობა, რომელიც დარეგისტრირებულია ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების მიხედვით;

X

წარსულში ცნობადი ქართული პროდუქტების რებრენდინგი და მათთან დაკავშირებული ინვესტირების გეგმის შედგენა/განვითარება;

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების რაოდენობა, რომელზეც განხორციელდა რებრენდინგი და შემუშავდა ინვესტირების გეგმა;

✓

ადგილობრივი წარმოების პროდუქტებთან დაკავშირებული ფესტივალების, გამოფენების, საინფორმაციო ტურების და ა.შ. ორგანიზება;

ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებული ფესტივალების, გამოფენების, საინფორმაციო ტურების და ა.შ. რაოდენობა და თემატიკა;

✓

სტრატეგიული პროდუქტების (მაგ: ციტრუსი) საინფორმაციო კამპანიის წარმოება, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ;

საინფორმაციო/პრომო კამპანიების რაოდენობა, რომლებიც მიზანმიმართულია ადგილობრივად წარმოებული სტრატეგიული პროდუქტების თემატიკაზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ;

✓

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ მატერიალურ ტექნიკური ბაზის გამოყენება ადგილობრივი წარმოების პროდუქტებზე საინფორმაციო თუ პრომო კამპანიების წარმოების დროს;

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ ბაზაზე ჩატარებული საინფორმაციო და პრომო კამპანიების რაოდენობა;

✓

მჭიდრო თანამშრომლობა სავაჭრო სამრეწველო პალატასთან, მათ პარტნიორებთან და სხვა სტეიკჰოლდერებთან, როგორც ადგილობრივად, ასევე საზღვარგარეთ;

სხვადასხვა სტეიკჰოლდერების ვინაობა, რაოდენობა და ჩართულობა ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების რეალიზაციის კუთხით.

✓

ამოცანა №1 საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქტის შეღწევის ხელისშემშლელი ფაქტორების შესწავლა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება;

ამოცანა №2 წარსულში ცნობადი ქართული პროდუქტების რებრეინგი და მათთან დაკავშირებული ინვესტირების გეგმის შედგენა/განვითარება;

ამოცანის მიზანია: ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის ექსპორტზე რეალიზაციის ხელშეწყობა, ფერმერთა მოტივირებულობის ზრდა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

სამინისტროში შემუშავებული იქნა აჭარის ტერიტორიაზე წარსულში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების არსებული პოტენციალის კვლევისა და პერსპექტიული პროდუქტების რებრეინგისა და ინვესტირების გეგმა, რომელიც იქნა ბიუჯეტირებული და განხორციელდება 2017 წელს;

ამოცანა №3: ადგილობრივი წარმოების პროდუქტებთან დაკავშირებული ფესტივალების, გამოფენების, საინფორმაციო ტურების და ა.შ. ორგანიზება;

ამოცანის მიზანია: ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია, ცნობადობის ამაღლება, ადგილობრივი კომპანიების მიერ ახალი ბიზნესკავშირების დამყარება; კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მოტივაცია;

2016 წლის მეორე კვარტალი

- 2016 წლის 12 მაისს ბათუმისა და ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი დიმიტრის მიერ ორგანიზებული ფესტივალის ფარგლებში, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის გვარა-ხუცუბნის ღვინის სახლში, ღვინის ფესტივალის სადგეუსტაციო კომისიისათვის საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.
- აგროსერვის ცენტრის მხარდაჭერით ქობულეთის სანერგეში გაიმართა ქობულეთობის დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა ქობულეთის ყველა ხეობა. დღესასწაულზე წარმოდგენილი იყო ადგილობრივი კომპანიების პროდუქცია, ხალხური სამზარეულო და ხალხური რეწვის ნიმუშები, დღესასწაულს ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები;

2016 წლის მესამე კვარტალი

- მიმდინარე წლის 30 სექტემბერს ქ. ბათუმში გაიმართა სასურსათო პროდუქციისა და ტექნოლოგიების მე-6 საერთაშორისო გამოფენა. გამოფენის ორგანიზატორი იყო შპს GEONET EXPO, ხოლო თანაორგანიზატორი - აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო. გამოფენაში მონაწილეობდა 50-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიები;
- ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის თანადაფინანსებით სავაჭრო სამრეწველო პალატის მხარდაჭერითა და მეფუტკრეობის ასოციაციის ორგანიზებით 2016 წლის 13-14 აგვისტოს ჩატარდა თაფლის ფესტივალი. ფესტივალზე მონაწილეობას ღებულობდა 30 მეფუტკრე;

2016 წლის მეოთხე კვარტალი

- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით გამართული ღვინის კვირეულის ფარგლებში 1 ოქტომბერს ქობულეთის ვაზის და ხილის სანერგე მეურნეობაში ჩატარდა ღვინის გამოფენა. მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივი ღვინის მარნები და კოოპერატივები. კვირეულის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო იმერეთის რეგიონში მოქმედმა კოოპერატივებმაც;

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრს 2017 წლის ივლისის თვიდან - დეკემბრის თვის ჩათვლით დაგეგმილი და ბიუჯეტირებული აქვს შემდეგი ღონისძიებების ორგანიზება:

- ციტრუსის საერთაშორისო ფორუმი;
- ყველის ფესტივალი;

- თაფლის ფესტივალი;
- ღვინის ფესტივალი.

ამოცანა №4: სტრატეგიული პროდუქტების (მაგ: ციტრუსი) საინფორმაციო კამპანიის წარმოება, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ;

ამოცანის მიზანია: საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია, ფერმერთა ხელშეწყობა ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქტის რეალიზაციის მიმართულებით; რეგიონის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დარგის - მეციტრუსეობის ხელშეწყობა;

ციტრუსის საინფორმაციო კამპანია

- ციტრუსის სეზონის წარმატებით განხორციელების მიზნით, საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფა სამინისტრომ ჯერ კიდევ ივლისის თვეში დაიწყო. აქტიური შეხვედრები გაიმართა მეციტრუსეობის სფეროთი დაინტერესებულ ყველა რგოლთან. კერძოდ: შემფუთავ-დამახარისხებელი საწარმოებთან; სადაზღვევო კომპანიებთან; გეზ-ის წარმომადგელობასთან; სახმელეთო, საზღვაო და სარკინიგზო სატრანსპორტო კომპანიებთან; ციტრუსის ტარა მასალის დამამზადებლებთან; სასაწყობე მეურნეობების წარმომადგენლობებთან; შესაბამისი მუნიციპალიტეტებისა და სოფლის რწმუნებულებთან; მეციტრუსე ფერმერებთან;
- შეიქმნა პრომო ვებ-გვერდი ორიენტირებული ექსპორტიორების მოზიდვაზე (citrus.moa.ge); დამზადებული იქნა ორენოვანი ვიდეო რგოლები და ბუკლეტები აჭარის ციტრუსის გადამამუშავებელი სიმძლავრეების დემონსტრირების და პოპულარიზაციის მიზნით;
- სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფები მივლინებული იქნა ციტრუსის მიზნობრივ საექსპორტო ქვეყნებში, კერძოდ: ყაზახეთში, უზბეკეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ლიტვაში, ესტონეთსა და ლატვიაში;
- 30 ოქტომბერს სამინისტრომ ორგანიზება გაუკეთა ციტრუსის საერთაშორისო ფორუმს და სინფორმაციო ტურს, რომელსაც ესწრებოდა 8 ქვეყნის 19 მსხვილი ციტრუსის ექსპორტიორი კომპანია. ციტრუსისთვის შესაძლებელი გახდა ახალი ბაზრების ათვისება. წელს ჩვენი ციტრუსი პირველად მოხვდა ისეთ ბაზრებზე როგორცაა უზბეკეთი, ყირგიზეთი, პოლონეთი;
- 25 ნოემბერს საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა ციტრუსის საკორდინაციო შტაბი, ასევე ცხელი ხაზი, რომელიც ფუნქციონირებდა 24 საათიან რეჟიმში.

ამოცანა №5: ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ მატერიალურ ტექნიკური ბაზის გამოყენება ადგილობრივი წარმოების პროდუქტებზე საინფორმაციო თუ პრომო კამპანიების წარმოების დროს;

ამოცანის მიზანია: ფერმერების ხელშეწყობა წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციისა და რეალიზაციის მიმართულებით;

2016 წლის მეორე კვარტალში - აჭარის მთავრობას და ქვემო სილეზიის მთავრობას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრს ოფიციალური ვიზიტით მყოფი პოლონეთის რესპუბლიკის ქვემო სილეზიის დელეგაცია ეწვია. პოლონეთის დელეგაციას ქვემო სილეზიის სავოევოდოს მარშალი ცეზარი ფიბილსკი ხელმძღვანელობდა. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ქვემო სილეზიის ვიცე-მარშალი, რეგიონული პარლამენტის დეპუტატები, რეგიონის პრომოუშენის, ტურიზმის განყოფილებების და საინვესტიციო სააგენტოს წარმომადგენლები;

2016 წლის მეორე კვარტალში - გარემოს დაცვის საერთაშორისო ფორუმის ფარგლებში, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრს ეწვია აჭარის რეგიონში მყოფი ლიტვის რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრი კესტუტის ტრეციოკასი, საქართველოში ლიტვის რესპუბლიკის ელჩის მოადგილე იურატე რამოსკინე და ლიტვის პარლამენტის წევრები.

ამოცანა №6: მჭიდრო თანამშრომლობა სავაჭრო სამრეწველო პალატასთან, მათ პარტნიორებთან და სხვა მხარეებთან, როგორც ადგილობრივად, ასევე საზღვარგარეთ;

ამოცანის მიზანია: ფერმერების ხელშეწყობა წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის მიმართულებით; სავაჭრო-სამრეწველო პალატის უცხო ქვეყნებში არსებული კავშირების ჩართულობის გაღრმავება ქართული ბრენდების ცნობადობის ამაღლების მიმართულებით;

სამინისტროს მჭიდროდ თანამშრომლობს აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან. ამ თანამშრომლობის მაგალითებია:

- ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის თანადაფინანსებით სავაჭრო სამრეწველო პალატის მხარდაჭერითა და მეფუტკრეობის ასოციაციის ორგანიზებით 2016 წლის 13-14 აგვისტოს ჩატარდა თაფლის ფესტივალი. ფესტივალზე მონაწილეობას დებულობდა 30 მეფუტკრე;
- ციტრუსის სეზონზე, აჭარის სამრეწველო პალატა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შექმნილ ციტრუსის შტაბთან კოორდინაციაში უზრუნველყოფდა საექსპორტო საბუთების ერთი ფანჯრის პრინციპით მომზადებას, ასევე მოსახლეობის ინფორმირებულობას ციტრუსის ექსპორტთან დაკავშირებით ყველა მიმართულებით;

სტრატეგიული მიმართულება 3.2:

ინსტიტუციური განვითარება

ღონისძიება 3.2.1.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება, პერსონალის მართვისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის გაძლიერება.

ამოცანები

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

სამინისტროს სტრუქტურული ფორმის ჩამოყალიბება, სადაც სამინისტრო იქნება სოფლის მეურნეობის დარგის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების კონტროლის ძირითადი ინსტიტუტი;

სამინისტროს ახალი სტრუქტურა და ორგანიზაციული მოწყობის ფორმა;

✓

სტრუქტურული ერთეულების და მათში შემავალი შტატებისთვის: ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრა; ტექნიკური და პროფესიული მოთხოვნილებების განსაზღვრა; თანამდებობრივი ინსტრუქციების მომზადება;

სამინისტროს განახლებული დებულების, სამტატო და თანამდებობრივი უფლება მოვალეობების და ტექნიკურ-პროფესიული მოთხოვნილებების დოკუმენტები;

✓

პროგრამების განხორციელების და მასთან დაკავშირებული პროცესების (შესყიდვები, ფერმერთა მობილიზება, პროცედურული და სხვა საკითხები) სამინისტროს ფუნქციებიდან გამოყვანა და ცალკე საქვეუწყებო ერთეულად ჩამოყალიბება;

ახალი ორგანიზაციული ერთეული სამინისტროს დაქვემდებარებაში, რომელიც პროგრამების განხორციელებითა და ამასთან დაკავშირებული პროცესების მართვითაა დაკავებული;

✓

ეფექტური შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება და დანერგვა;

სამინისტროს შეფასებისა და მონიტორინგის განახლებული მოდელი და შესაბამისი დოკუმენტაცია;

X

სწავლებლები თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და უნარების ამაღლების მიზნით;

სამინისტროს თანამშრომელთა რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს სხვადასხვა ტრენინგები/სწავლებები და ა.შ.;

X

ამოცანა №1: სამინისტროს სტრუქტურული ფორმის ჩამოყალიბება, სადაც სამინისტრო იქნება სოფლის მეურნეობის დარგის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების კონტროლის ძირითადი ინსტიტუტი:
ამოცანის მიზანია: სამინისტროს ძირითადი ფუნქციის, კერძოდ რეგიონში სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შემუშავება/განხორციელების ეფექტური შესრულება, სამინისტროს ინსტიტუციონალური გაძლიერება (პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, თანამშრომელთა მუშაობის დაგეგმვის, მონიტორინგის, ამაღარმშვებისა და სამუშაოს შესრულებისა და შეფასების ახალსისტემაზე გადასვლა)

საანგარიშო პერიოდში სამინისტროში განხორციელდა საქმიანობები, რომლებიც მიმართული იყო აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალი, გაძლიერებული სტრუქტურის შემუშავებაზე. განახლებული სტრუქტურა მნიშვნელოვნად აფართოებს სამინისტროს შესაძლებლობებს ისეთი ახალი ერთეულების შექმნით და არსებულის გაჯანსაღებით როგორცაა: აგრარული დარგის განვითარების დეპარტამენტი, სოფლის განვითარების დეპარტამენტი, პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი, აგროპროექტების მართვისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური.

ახალი ორგანიზაციული მოწყობა აძლიერებს სამინისტროს ძირითადი ფუნქციების განმახორციელებელ ბირთვს, ხოლო დამატებით მობილიზებული საკადრო რესურსი არსებულ, გამოცდილ კადრებთან ერთად იქნება ის ადამიანური რესურსი, რომლის მეშვეობითაც სამინისტრო 2017 წელს შეუდგება აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიით გამოცხადებული პოლიტიკის შესრულებას.

სამინისტროს ძველი და განახლებული სტრუქტურა შეგიძლიათ იხილოთ **დანართი №1**-ში. 2017 წლის 1 თებერვლიდან სამინისტროში გამოცხადებულია რეორგანიზაციის პროცესი, რომელიც სწორედ ინსტიტუციური გაძლიერების ღონისძიებებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებას ემსახურება.

ამოცანა №2: სტრუქტურული ერთეულების და მათში შემავალი შტატებისთვის ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრა, ტექნიკური და პროფესიული მოთხოვნილებების განსაზღვრა, თანამდებობრივი ინსტრუქციების მომზადება.

ამოცანის მიზანია: სამინისტროს ადამიანური რესურსების მაქსიმალური მობილიზება დასახული მიზნების განხორციელების მიმართულებით, პერსონალის საქმიანობების განიჯვნა, ეფექტური მუშაობის პრინციპების დანერგვა.

სამინისტროს სტრუქტურული და ორგანიზაციული მოწყობის ცვლილებებისთვის, გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტული მხარდაჭერით შემუშავებული იქნა საშტატო ერთეულების ფუნქცია-მოვალეობებისა და ტექნიკურ და პროფესიულ მოთხოვნილებების დოკუმენტი, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ახალი დებულება, შინა განაწესი და ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

შემუშავებული დოკუმენტები უზრუნველყოფს სამინისტროს თანამშრომელთა ფუნქციების და შესასრულებელი სამუშაოების შესაბამისობას სამინისტროს მიერ შემუშავებულ 2017-2020 წლების სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიებთან.

ამოცანა №3: პროგრამების განხორციელების და მასთან დაკავშირებული პროცესების (შესყიდვები, ფერმერთა მობილიზება, პროცედურული და სხვა საკითხები) სამინისტროს ფუნქციებიდან გამოყვანა და ცალკე საქვეუწყებო ერთეულად ჩამოყალიბება;

ამოცანის მიზანია: სამინისტროს მიერ დასახული ღონისძიებების ეფექტურად და ოპერატიულად განხორციელების მიმართულებით კვალიფიციური სპეციალისტების საქმიანობის გამოიჯვნა, ახალი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება და საქმიანობის სფეროს გაფართოება

2016 წლის ჩათვლით სამინისტროს მიერ დაგეგმილი პროგრამები ითვალისწინებდა საქმიანობის მთლიანი ციკლის წარმოებას. კერძოდ, პროგრამების / ქვეპროგრამების შემუშავებიდან დაწყებული მისი განხორციელებისა და მონიტორინგის ჩათვლით დამთავრებული. ამ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი წარნაოდაგენს წმინდა ტექნიკური ტიპის სამუშაოს (ფერმერების მობილიზება, პროგრამების

გაცნობა, შესყიდვების წარმოება, ტენდერების შედეგად შესყიდვის საგნების ფერმერებზე გადაცემას და ა.შ.), რომელიც ამავე დროს ძალიან შრომატევადია და მოითხოვს სამინისტროს მხრიდან დიდ ადამიანურ რესურსს.

შესაბამისად, სამინისტროს ახალი სტრუქტურული მოწყობის ფონზე, სადაც სამინისტრო სასოფლო სამეურნეო პოლიტიკის შემუშავების და დანერგვის ძირითადი ინსტიტუტია, ადამიანური რესურსის სწორედ ამ მიმართულებით მობილიზებისა და კონცენტრირების მიზნით დღის წესრიგში პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების ფუნქციების და ამასთან დაკავშირებული ყველა ტიპის საქმიანობის სამინისტროს ფუნქციებიდან გატანა, კერძოდ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „აგროპროექტების მართვის ცენტრი“-ს შექმნის გზით.

აგროპროექტების მართვის ცენტრის მთავარი მიზანია სამინისტროს მიერ დაგეგმილი პროექტების განხორციელება და ინიცირება, რაც მოემსახურება რეგიონის აგრარული დარგის განვითარებას.

მსგავსი სტრუქტურული და ფუნქციური ცვლილებები / გამიჯვნები საშუალებას იძლევა სამინისტროში დაინერგოს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მოდელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ყველაფერი ამისკენ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯი, საანგარიშო პერიოდში მომზადდა შესაბამისი წესდება, საშტატო ნუსხა, ბიუჯეტის კვარტალური განწერა, ადამიანური რესურსით დაკომპლექტება და სხვა სამართლებრივი საქმიანობები, ასევე 2017 წელში მის მიერ განსახორციელებელი პროექტების ნუსხა. საბოლოოდ 2016 წლის დეკემბრის თვეში დადგენილი წესით განხორციელდა ორგანიზაციის დაფუძნება.

სამინისტროს ინსტიტუციონალური გაძლიერების მიზნით 2016 წელს განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ **დანართი № 3**-ში.

ღონისძიება 3.2.2.

ღონისძიება 3.2.2. საბაზრო ინფორმაციული სისტემის შექმნა, მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და აგრარულ სექტორში დასაქმებულთათვის ეფექტიანად მიწოდება

ამოცანები

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

პროდუქტის ფასების კვლევა ადგილობრივ ბაზრებზე;

პროდუქტების რაოდენობა, რომლებზეც განხორციელდა ფასების კვლევა ადგილობრივად;

✓

მიზნობრივ საერთაშორისო ბაზრებზე სტრატეგიული პროდუქტების ფასების კვლევა;

პროდუქტების რაოდენობა, რომლებზეც განხორციელდა ფასების კვლევა საერთაშორისო, მიზნობრივ ბაზრებზე;

✓

ბაზრის კვლევის შედეგების/ ანალიზის ფორმირება და შემდგომი მიწოდება ფერმერებზე, მწარმოებლებზე, ექსპორტიორებზე და ა.შ.;

ფერმერების/ ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებსაც მიეწოდება ფასების კვლევის შედეგად შემუშავებული ანალიტიკური მასალა;

X

ევროკავშირის ბაზრებზე მოქმედი რეგულაციების შესწავლა/ ანალიზი და შესაბამისი კომუნიკაცია პოტენციურ ექსპორტიორებთან;

ევროკავშირის ბაზრებზე მოქმედი რეგულაციების თაობაზე ჩატარებული კვლევები და შემუშავებული დოკუმენტები;

X

კვლევის შედეგების სისტემატიზაციის მიზნით საბაზრო საინფორმაციო ბაზების წარმოება და მუდმივი განახლება;

საინფორმაციო ბაზების არსებობა და მათი მდგომარეობა ფასების კვლევის თვალსაზრისით;

X

მჭიდრო თანამშრომლობა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან;

სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან ერთობლივად განხორციელებული შეხვედრების, ღონისძიებების და ა.შ. რაოდენობა და თემატიკა;

✓

ამოცანა № 1: პროდუქტის ფასების კვლევა ადგილობრივ ბაზრებზე.

ამოცანის მიზანია: ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზრის თავისებურებების შესწავლა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასთა რეგულირების განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენა, ფერმერთა/ მწარმოებელთა ინფორმირებულობის ამაღლება.

გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, მიმდინარე პროექტის ფარგლებში, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სპეციალისტი ყოველკვირეულად იკვლევს ადგილობრივ ბაზარზე არსებულ სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ფასებს. ასეთივე ტიპის საქმიანობა ხორციელდებოდა ასევე საინფორმაციო-საკონსულტაციო დეპარტამენტის მუნიციპალური განყოფილებების სპეციალისტების მიერ. ამგვარად, წლის განმავლობაში სულ განხორციელდა 300-ზე მეტი გასვლითი ღონისძიება;

მოპოვებული მონაცემები გროვდება რეგულარულად განახლებად ბაზაში. აღნიშნული ინფორმაცია მუშავდება ყოველთვიურად და იგზავნება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში. ასევე ყოველწლიურად ხდება ფასების ცვალებადობის დინამიკის შესაწავლა და შესაბამისი ანალიზის წარმოება. მოცემული ინფორმაციის გაზიარება პერიოდულად ასევე ხდებოდა აჭარის ტელევიზიის გადაცემა „მე ვარ ფერმერისთვის“, სადაც ეს უკანასკნელი ტიტრების სახით მიეწოდებოდა მაყურებელს;

სასურსათო პროდუქციის ფასებზე კვლევა ძირითადად ხორციელდებოდა: ხილის, ბოსტნეულის, მარცვლეულის, ხორცისა და ხორცპროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების სახეობებზე, ასევე ცოცხალი პირუტყვზე;

ამოცანა №2: მიზნობრივ საერთაშორისო ბაზრებზე სტრატეგიული პროდუქტების ფასების კვლევა;

ამოცანის მიზანია: ევროკავშირის ბაზარზე არსებული რეგულაციების შესწავლა, შესაბამის საინფორმაციო ბაზებთან ფერმერთა წვდომა/ცნობიერების ამაღლება, ადგილობრივი პროდუქციის უცხოურ ბაზრებზე შეღწევადობის ხელშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება;

სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტში განხორციელდა სტრატეგიული პროდუქტების (ციტრუსი, თხილი, კარტოფილი) ფასების კვლევა და მომზადდა შესაბამისი დოკუმენტი.

მოცემულ დოკუმენტში გაანალიზებულია საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ტენდენციები, ბაზრის მოთხოვნები და ფასთა ცვალებადობა. აღნიშნული კვლევა საშუალებას იძლევა გაანალიზებული იქნას რეგიონის სტრატეგიული კულტურების კონკურენტუნარიანობა, მათი საექსპორტო პოტენციალი, საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევადობის შესაძლებლობები და ხელისშემშლელი ფაქტორები;

ღონისძიება 3.2.3.

ფერმერთა რეესტრის შექმნა

ამოცანები

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

ექსტენციის სოფტის ამოქმედება და დანერგვა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში;

სამინისტროს სტრუქტურაში ექსტენციის სოფტის მუშაობაზე პასუხისმგებელი ერთეული;

✓

ფერმერთა მონაცემების ბაზის შექმნა და მისი შემდგომი ანალიზი;

რეგისტრირებული ფერმერული მეურნეობები;

✓

ფერმერთა რეესტრის მონაცემთა გამოყენება სამინისტროს პოლიტიკის შემუშავებაში;

ფერმერთა მეურნეობების ანალიზი და მათი შედეგები სამინისტროს პროგრამებში;

X

ფერმერთა მონაცემების ანალიზის საფუძველზე საკანონმდებლო ინიციატივების და წინადადებების შემუშავება ისეთ საკითხებზე როგორცაა, ფერმერის სტატუსი, მიწის რეფორმა და ა.შ;

საკანონმდებლო ინიციატივების და ანალიტიკური ნარკვევების რაოდენობა ფერმერული მეურნეობების ეფექტურობის ამაღლების თემატიკაზე;

X

ამოცანა №1: ექსტენციის სოფტის ამოქმედება და დანერგვა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში.

ამოცანის მიზანია: ექსტენციის მიმართულებით საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი პროექტების შემუშავება.

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით (პროექტი ENPARD) და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით (UNDP) შემუშავებული იქნა „ექსტენციის სოფტი“. ეს არის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას იძლევა ფერმერთა მონაცემები დეტალურად იქნეს აღრიცხული, ასევე შესაძლებელს ხდის ფერმერზე გაწეული ექსტენციის აღრიცხვისა, მისი ისტორიის წარმოებისა და ექსტენციის შედეგად მიღებული ეფექტის მონიტორინგისა.

ამოცანა № 2: ფერმერთა მონაცემების ბაზის შექმნა და მისი შემდგომი ანალიზი.

ამოცანის მიზანია: რეგიონის ფერმერთა შესაძლებლობების შესწავლა და ანალიზი, რეესტრის გამოყენება ფერმერის სტატუსისა და მასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების საქმეში.

როგორც სამინისტროში, ასევე მუნიციპალიტეტების საინფორმაციო-საკონსულტაციო განყოფილებებში ხორციელდებოდა სამინისტროს პროგრამებში მონაწილეობის მსურველ ფერმერთა განცხადებების მიღება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა შესაბამისი ელექტრონული ბაზა. ბაზა მოიცავს ინფორმაციას თითოეული ფერმერის მიერ საკარმიდამო და სარგებლობაში არსებული ნაკვეთის ფართობის, ნაკვეთის ტიპის, ძირითადი წარმოებული პროდუქციის მიხედვით. ბაზა მოიცავს მონაცემებს რეგიონის 3,746 ფერმერის შესახებ.

სამინისტროს საინფორმაციო საკონსულტაციო თანამშრომლების მიერ ასევე აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ექსტენციის სოფტში მონაცემების მოგროვებისა და განთავსების კუთხით. ასეთი მონაცემთა ბაზები შესაძლებლობას იძლევა გაანალიზებული იქნეს ადგილობრივი ფერმერის პოტენციალი ადგილმდებარეობის, ფართობის, საქმიანობის ტიპის, მეურნეობის ეფექტურობისა და სხვა ნიშნის მიხედვით. ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის მიერ ექსტენციის სოფტში დამუშავებული იქნა 4,231 ფერმერის მონაცემი (ხელოვნური განაყოფიერება, ნიადაგის ანალიზი), ხოლო საინფორმაციო-საკონსულტაციო დეპარტამენტის მუნიციპალური განყოფილებების მიერ 186 მონაცემი, სულ ექსტენციის სოფტი მოიცავს ინფორმაციას 4,417 ფერმერის შესახებ.

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ბაზაზე შექმნილია ფერმერთა SMS ბაზა (8900 ფერმერი), რომლის ფარგლებშიც ნიუსის სახით ფერმერებს ეგზავნებათ შეტყობინებები სხვადასხვა სახის აგროლონისძიებაზე.

2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ჯამში დამუშავებულია 8,163 ფერმერის მონაცემი/ფერმერის ბარათი.

დონისძიება 3.2.4.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დონორ ორგანიზაციათა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის კოორდინაციის განმტკიცება/გამდიერება

ამოცანები

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

დონორთა მიერ განხორციელებული/ მიმდინარე პროექტების ინვენტარიზაცია;

დონორთა პროექტების რაოდენობა და ბიუჯეტი;

✓

სხვადასხვა არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან კომუნიკაციის აწყობა;

პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციათა რაოდენობა;

✓

მჭიდრო კავშირი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან, ასევე საქართველოში არსებულ საერთაშორისო, დონორ ორგანიზაციებთან და სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებთან: სამინისტროს საჭიროებების დოკუმენტის მომზადება/განახლება; საჭიროებების დოკუმენტის დაგზავნა და უკუკავშირის უზრუნველყოფა

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დონორებთან ურთიერთობის საჭიროების დოკუმენტი;

X

მინიმუმ წელიწადში ერთჯერ, საკოორდინაციო შეხვედრის ორგანიზება, ადგილობრივი და საქართველოს მასშტაბით მოქმედი საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, ფონდების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით;

დონორთა საკოორდინაციო/მუშა შეხვედრების რაოდენობა, რომელიც იყო ორგანიზებული ან რომელშიც სამინისტრომ მიიღო მონაწილეობა;

X

მონაწილეობა დონორთა კონფერენციებში, ფორუმებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ;

დონორთა კონფერენციების, ფორუმების, და ა.შ. რაოდენობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ;

X

ამოცანა № 1: დონორთა მიერ განხორციელებული/მიმდინარე პროექტების ინვენტარიზაცია.

ამოცანის მიზანია: საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით განხორციელებული პროექტების სისტემატიზაცია (აგრარული დარგის სხვადასხვა მიმართულებით), ანალიტიკა და თანამშრომლობის გაღრმავების ფარგლებში ახალი პროექტების იდენტიფიცირება და სასურველი მიმართულებების გამოვლენა.

სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტში მომზადებული იქნა ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტების შესახებ. დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ **დანართი №4-ში**.

ამოცანა №2: სხვადასხვა არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან კომუნიკაციის აწყობა.

ამოცანის მიზანია: სამინისტროს მიერ დაგეგმილი პროექტების განხორციელების შესაძლებლობების ზრდა დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტული ჩართულობით და დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვით.

2016 წლის მეორე კვარტალში, რეგიონს ევროკავშირის ელჩი საქართველოში, იანოშ ჰერმანი, გაეროს ელჩი საქართველოში ნილს სკოტი და ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის სხვა მაღალი რანგის პირები სტუმრობდნენ. სტუმრებმა მოინახულეს პროექტ ENPARD AJARA-ს ფარგლებში განხორციელებული პროექტები და გამოთქვეს მზადყოფნა კვლავ გააგრძელონ რეგიონის მხარდაჭერა.

აგრარულ სექტორში დასახული პრიორიტეტების წარმატებით განხორციელების მიზნით, სამინისტრო აქტიურად ახორციელებს კომუნიკაციას საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან. საანგარიშო პერიოდში თანამშრომლობის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი პროექტები, კერძოდ:

- სლოვაკეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, Slovak Aid – „საქართველოს მიუვალ მთიან მხარეში აგრო განვითარების ხელშეწყობა, მესაქონლეობის პროდუქტიულობისა და წარმოების ზრდით“ 2016-2017 წწ;
- ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტრო, პროგრამა LEADER – „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მერძეული ხაზის კოოპერატივების გაძლიერება აჭარის ა/რ“- 2016 წ;
- ავსტრიის განვითარების ფონდი (ADA), აგრობიზნესისა და სოფლად განვითარების ცენტრი (CARD)სომხეთი - „ცხოველთა ჯანმრთელობის მართვა საქართველოში“ პროექტის ფაზა-++ 2016-2017 წწ;
- გაეროს განვითარების პროგრამა - „მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“ 2016-2017 წწ;
- გაეროს განვითარების პროგრამა - „სოფლის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში- ENPARD 2 2016 -2018 წწ;
- აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) – „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ინიციატივა (GAPI) 2015-2017 წწ;
- სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) და გლობალური გარემოს დაცვის ფონდი (GEF) – „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტი“ (AMMAR) 2016-2019 წწ;
- შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი სამხრეთ კავკასიაში - MercyCorps Georgia – ALCP AJARA (მცირე კავკასიის ალიანსების აჭარის პროგრამა) 2014-2017 წწ;
- ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო, პროგრამა MASHAV- აგრო სპეციალისტთა საკვალიფიკაციო კურსები ისრაელში;
- ჰოლანდიის სამეფო, პროგრამა PUM - ჰოლანდიელი ექსპერტები ქართული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;
- აშშ აგრო დეპარტამენტი (USDA) - აგრო სპეციალისტთა საკვალიფიკაციო კურსები.

ღონისძიება 3.2.5.

აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანებების („ა.მ.ა.გ“-ი) შექმნა და განვითარების ხელშეწყობა, ამგვარად სამინისტროს პოლიტიკაში სოფლის მაცხოვრებელთა მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა

ამოცანები

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

აჭარის თითოეულ მუნიციპალიტეტში (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანებების (ა.მ.ა.გ.-ი) შექმნა;

ა.მ.ა.გ.-ების რაოდენობა აჭარის რეგიონში მუნიციპალიტეტების მიხედვით;

✓

ა.მ.ა.გ.-ების განვითარების სტრატეგიების და სამოქმედო გეგმის შემუშავება;

ა.მ.ა.გ.-ების განვითარების სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების დოკუმენტების რაოდენობა;

X

ა.მ.ა.გ.-ების საჭიროებათა დოკუმენტის შემუშავება და სამინისტროს რეაგირებისთვის რეკომენდაციების მომზადება;

ა.მ.ა.გ.-ების საჭიროებათა დოკუმენტების რაოდენობა;

X

ა.მ.ა.გ.-ებთან მუდმივი კომუნიკაცია და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა სამინისტროს პროგრამების დაგეგმარების ეტაპზე;

ა.მ.ა.გ.-ებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა;

X

ა.მ.ა.გ.-ების წევრთა ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლება;

ა.მ.ა.გ.-ების წევრთა ტრენინგები/სწავლება/ სემინარები და ა.შ.;

X

ამოცანა №1: აჭარის თითოეულ მუნიციპალიტეტში (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანებების (ა.მ.ა.გ.-ი) შექმნა.

ამოცანის მიზანია: ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, სამინისტროსთვის დაგეგმარების ახალი ვერტიკალის მომზადება სადაც დარგში არსებული საჭიროებები მზადდება უშუალოდ ფერმერთა აქტიური გაერთიანებების მიერ, ხოლო სამინისტრო მათი დამუშავების შედეგად მოამზადებს და განახორციელებს აქტიურ მოქმედებებს პროგრამებისა და ღონისძიებების სახით. ამავდროულად არის ადგილობრივ ფერმერთან კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმი.

2016 წლის მეოთხე კვარტალში, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის მიერ მომზადებული იქნა შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტაცია და გამოცხადდა ტენდერი აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანებების ჩამოყალიბების თაობაზე. ამავდროულად ა(ა)იპ „განვითარების აკადემია“ როგორც ტენდერში გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაცია შეუდგა მის განხორციელებას.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნების თანახმად აჭარის ტერიტორიაზე უნდა ჩამოყალიბდეს 45 აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანება აჭარის ტერიტორიის სრული დაფარვით. ამავდროულად ჩამოყალიბების პროცედურების საბოლოო პერიოდი 2017 წლის თებერვალია.

სტრატეგიული მიმართულება 3.3

ორიგაცია და ნიადაგის ნაყოფიერება

ლონისძიება 3.3.2.

ნიადაგების რაციონალური გამოყენება

ამოცანები

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

აჭარის რეგიონში ნიადაგების ზოგადი მდგომარეობის შესწავლა;

აჭარის რეგიონში ნიადაგების ანალიზის დოკუმენტი;

X

სარწყავი სისტემების აღდგენის და სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაციის ეკონომიკური ეფექტის შესწავლა/ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება;

აჭარის რეგიონში სარწყავი სისტემების აღდგენის, სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაციის საჭიროებისა, ეკონომიკური ეფექტის და ამ ღონისძიებათა ფინანსური დანახარჯების ანალიზის კვლევის დოკუმენტი;

✓

ქარსაფარი ზოლების მდგომარეობის შესწავლა და მათი აღდგენის საჭიროების, ასევე გასატარებელი ღონისძიებების და ამ ღონისძიებათა ფინანსური დანახარჯების შესწავლა/ანალიზი;

აჭარის რეგიონში ქარსაფარი ზოლების, მათი აღდგენის საჭიროების, ასევე გასატარებელი ღონისძიებების და ამ ღონისძიებათა ფინანსური დანახარჯების ანალიზის კვლევის დოკუმენტი;

X

ნიადაგის ეროზიული პროცესებისაგან დაცვის მიზნით, ცალკეული კულტურების სტრატეგიული გაადგილების შესახებ რეკომენდაციების მომზადება;

ნიადაგის ეროზიული პროცესებისაგან დაცვის მიზნით, ცალკეული კულტურების სტრატეგიული გაადგილების პროგრამა;

X

ამოცანა №1: სარწყავი სისტემების აღდგენის და სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაციის ეკონომიკური ეფექტის შესწავლა/ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება;

ამოცანის მიზანია: რეგიონში საირიგაციო ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა

სამინისტროში შემუშავებული იქნა აჭარის ტერიტორიაზე არსებული სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის ეკონომიკური ეფექტის შესწავლის გეგმა, რომელიც იქნა ბიუჯეტირებული და და განხორციელდება 2017 წელს;

სტრატეგიული მიმართულება 3.4

რეგიონული და დარგობრივი განვითარება - დამატებითი ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა

ღონისძიება 3.4.1.

რეგიონებისთვის სოფლის განვითარებისა და პრიორიტეტულ დარგებში ინვესტირების გეგმის შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა

ამოცანები

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

მუნიციპალიტეტების მიხედვით აჭარის რეგიონში პრიორიტეტული დარგების და მათი განვითარების სტრატეგიის მომზადება

აჭარის სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგების კლევის დოკუმენტი; მუნიციპალიტეტების მიხედვით სოფლის მეურნეობის მიმართულებების განვითარების სტრატეგია

X

აჭარაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესახებ ინფორმაციის მოგროვება და სისტემატიზაცია (წარმოება, გადამუშავება)

აჭარაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესახებ ინფორმაციის დოკუმენტი;

X

მჭიდრო კავშირი ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსთან, ასევე სხვადასხვა ფონდებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსთან და სხვა სტეიკჰოლდერებთან ერთად ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა;

X

ბიზნეს გეგმების, საინვესტიციო პროექტების, მედია პაკეტების და საინვესტიციო პრეზენტაციების დამზადება და პოტენციურ ინვესტორებზე მიწოდება;

ბიზნეს გეგმების, საინვესტიციო პროექტების, მედია პაკეტების და საინვესტიციო პრეზენტაციების რაოდენობა და თემატიკა;

X

ღონისძიება 3.4.2.

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების შემუშავება, განხორციელება, მონიტორინგი;

ამოცანები	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
ცალკეული დარგების მიმდინარე მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი, შეფასება;	სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების და კონკრეტული შესწავლილი მიმართულებების რაოდენობა;	X
ცალკეული დარგების განვითარების სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება;	სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის დოკუმენტი	X
დარგის განვითარების სტრატეგიებზე დაყრდნობით კონკრეტული პროგრამების და ქვეპროგრამების შემუშავება, მათი ეფექტის განსაზღვრა და ფინანსური დანახარჯების საჭიროებათა შეფასება;	შემუშავებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების რაოდენობა და თემატიკა;	✓
აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივ გაერთიანებათა (ა.მ.ა.გ.-ების) განვითარების სტრატეგიებისა და საჭიროებათა დოკუმენტების ანალიზი, შეფასება და პროგრამული ინტერპრეტაცია;	ა.მ.ა.გ.-ების განვითარების სტრატეგიები და საჭიროებათა დოკუმენტები ასახული პროგრამებისა და ქვეპროგრამებში;	X
პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებით მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოსთან;	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოსთან ერთად განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა და თემატიკა	X

ამოცანა №1: დარგის განვითარების სტრატეგიებზე დაყრდნობით კონკრეტული პროგრამების და ქვეპროგრამების შემუშავება, მათი ეფექტის განსაზღვრა და ფინანსური დანახარჯების საჭიროებათა შეფასება;
ამოცანის მიზანია: რეგიონის აგრარული დარგის განვითარების ხელშეწყობა, წარმოების ზრდა, სოფლის მეურნეობით დაკავებული ფერმერების/აგრომეწარმეების შემოსავლებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილის ზრდა;

2016 წელს სამინისტროს მიერ შემუშავებული და განხორციელებული იქნა 3 პროგრამა და 8 ქვეპროგრამა, მთლიანი ბიუჯეტით **2 732 171** ლარი. ქვეპროგრამები ორიენტირებული იყო რეგიონის აგრარული დარგის განვითარებაზე. კერძოდ, ფერმერთა და აგრომეწარმეთა მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით (მრავალფუნქციური მოტობლოკი, ბადის მობილური შემასხურებელი აპარატი, თხილის გამრჩევი აპარატი), უზრუნველყოფის ხელშეწყობაზე, მეცხოველეობის დარგის განვითარებაზე (სეპარატორი, თაფლის საწური აპარატები), მრავალწლიანი ბაღების (მანდარინი, მოცვი, თხილი) გაშენების მიმართულებებზე და სასათბურე მეურნეობების წარმოებაზე. დეტალური ინფორმაცია სამინისტროს მიერ 2016 წელს განხორციელებული ქვეპროგრამების შესახებ იხილეთ **დანართი №5-ში**.

ღონისძიება 3.4.4.

თელისა და სარგავი მასალის წარმოების განვითარების მხარდაჭრა

ამოცანები

შეფასების ინდიკატორი

შესრულება

კონკურენტუნარიანი ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების გამოვლენა და შესაბამისი წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის შესწავლა;

ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების რაოდენობა, რომლებზეც მომზადებული იქნა წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი;

X

სასელექციო მეურნეობის შექმნა;

სასელექციო მეურნეობა;

X

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სანერგეებში პერსპექტიულ კულტურებზე სამეცნიერო დაკვირვებებისა და კვლევების წარმოება;

სამეცნიერო დაკვირვების, სწავლების, ანალიზის დოკუმენტი აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სანერგეებში არსებულ კულტურებზე; სადემონსტრაციო ბაღების, სათბურების და ნაკვეთების რაოდენობა, სადაც განხორციელდება სამუშაოები;

✓

სადემონსტრაციო ბაღების, სათბურების და ნაკვეთების წარმოება, მონიტორინგი და შედეგების გაცნობა ფერმერებსა და აგრო-მწარმოებლებზე;

სადემონსტრაციო ბაღების, სათბურების და ნაკვეთების რაოდენობა

✓

სერტიფიცირებული სათესლე და სარგავი მასალების მწარმოებელთა/ მომწოდებელთა ხელშეწყობა;

სერტიფიცირებული სათესლე და სარგავი მასალების მწარმოებელთა/ მომწოდებელთა შეხვედრები და კონსულტაციების რაოდენობა

X

ამოცანა №1: აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სანერგეებში პერსპექტიულ კულტურებზე სამეცნიერო დაკვირვებებისა და კვლევების წარმოება;

ამოცანის მიზანია: რეგიონში ალტერნატიული, კონკურენტუნარიანი კულტურების განვითარების ხელშეწყობა; მემცენარეობით დასაქმებული ფერმერების ცოდნის ამაღლება; ფერმერული მეურნეობის ოპტიმიზაცია; ფერმერთა შემოსავლების ზრდა.

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრში არსებულ ჩაქვის ციტრუსისა და გვარა-ხუცუბნის ვაზის, ხეხილისა და კენკროვანთა სანერგე მეურნეობებში შემოტანილი ახალი ჯიშების შერჩევის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევით ცენტრსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე 2014-2016 წლების მანძილზე აგროსერვის ცენტრის სანერგე მეურნეობებში ხორციელდება სამეცნიერო კვლევები;

კვლევები მოიცავს კვირტების გაღვიძების, პირველი ვეგეტაციის დასაწყისისა და დასასრულის, მასიური ყვავილობის, გამონასკვის, მეორე ვეგეტაციის დასაწყისისა და დასასრულის, ნაყოფების მომწიფების დასაწყისის, ნაყოფების მასიური მომწიფების და მსხმოიარობის პროცესების შესწავლას. ასევე მცენარის სხვადასხვა ექსპოზიციიდან ნაყოფების აღებას და ბიოქიმიური შედგენილობის ხარისხობრივი მაჩვენებლები კვლევას. შესწავლილი იქნა ბიომეტრიული მაჩვენებლები 2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე, სადაც გაიზომა მცენარის სიმაღლე სმ-ში, საძირისა და სანამყენის დიამეტრი მმ-ში; საცდელი მცენარეების ქვეშ ნიადაგი წითელმიწაა, თითოეულ ვარიანტში აღებული იყო ათ-ათი მცენარე, ხოლო ცდები მიმდინარეობდა სპეციალისტების მიერ შედგენილი სქემისა და

მეთოდის მიხედვით. ყველა საცდელი მცენარე დაინომრა, გაუკეთდა ეტიკეტირება, მიღებული მონაცემები შეყვანილია სპეციალურ ჟურნალში, სადაც აღირიცხება თითოეული მცენარის ყველა ის მონაცემი, რაც ფენოლოგიური დაკვირვებებით არის გათვალისწინებული;

კვლევებში მონაწილეობას ღებულობდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები, სადაც საველე პირობებში ეცნობოდნენ ფენოლოგიური დაკვირვებების მიმდინარეობას. ამასთან საკვლევ ობიექტზე ბსუ-ს ორი დოქტორანტი, ორი მაგისტრი და რამდენიმე ბაკალავრი მუშაობდა სამეცნიერო ნაშრომებზე.

ამოცანა №2: სადემონსტრაციო ბაღების, სათბურების და ნაკვეთების წარმოება, მონიტორინგი და შედეგების გაცნობა ფერმერებსა და აგრო-მწარმოებლებზე;

ამოცანის მიზანია: თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეებისადმი ფერმერთა ცნობიერების ამაღლება; ფერმერული მეურნეობების ოპტიმიზაციის ხელშეწყობა; ალტერნატიული კულტურების წარმოების ზრდის ხელშეწყობა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში მდებარეობს ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობა, რომელიც მოიცავს 16 ჰა ფართობს;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას სანერგეში მოწყობილია სასათბურე მეურნეობა სულ 1500 კვ.მ, სადაც წარმოებს მალინის და მარწყვის მოყვანა. აქვე განთავსებულია 500 კვ.მ სასათბურე მეურნეობა, რომელიც განკუთვნილია ნერგის საწარმოებლად;

გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ფარგლებში, 2016 წელში, მაღალმთიან აჭარის მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო) მოეწყო ნიორის ახალი ჯიშის „ლუბაშა“-ს საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთი, სადაც ნიორის მაღალპროდუქტიული სარგავი მასალის რგვის გარდა განხორციელდა ნიორის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. პროექტის შედეგად, ერთ კვადრატულ მეტრ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე ნაცვლად 4-6 კგ-სა შესაძლებელი გახდა 10-12 კგ ნიორის მოსავლის მიღება;

დაიგეგმა 2017 წელს მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროგრამა „მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა“. მოცემული პროგრამა ხელს შეუწყობს ადგილობრივი ნიორის უხვმოსავლიანი და მავნებელ დაავადებების მიმართ რეზისტენტული ჯიშით ჩანაცვლებას. შედეგად გაიზრდება, როგორც მოსავლიანობა და წარმოებული ნიორის პროდუქციის ხარისხი, ასევე ფერმერთა შემოსავლებიც.

ღონისძიება 3.4.6.

სანაშენე საქმის განვითარება

ამოცანები

მეცხოველეობის დარგში მყარი საკვები ბაზის შექმნა; საკვების მწარმოებელი კომპანიების შექმნის/მუშაობის ხელშეწყობა;

სანაშენე საქმიანობა: მეცხოველეობის და აკვაკულტურის დარგში;

აკვაკულტურის დარგის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შექმნა;

კრძო და საჯარო ვეტერინარიის განვითარება; ვეტერინარული კლინიკების შექმნა/ ხელშეწყობა; ვეტერინარების სწავლება/ გადამზადება;

სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების შექმნის ხელშეწყობა;

აქტიური თანამშრომლობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, რომლებიც მონაწილეობენ სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების შემუშავება - განხორციელების პროცესში.

შესრულების ინდიკატორი

მეცხოველეობაში მყარი საკვების ბაზის არსებობა;

სანაშენე მეურნეობების არსებობა მეცხოველეობაში, მემცენარეობაში და აკვაკულტურებში;

აკვაკულტურის დარგის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დოკუმენტი;

ვეტერინარული კლინიკების და გადამზადებული ვეტერინარების რაოდენობა;

სანაშენე მეურნეობების რაოდენობა;

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა;

შესრულება

X

X

X

✓

X

X

ამოცანა № 1: კერძო და საჯარო ვეტერინარიის განვითარება.

ამოცანის მიზანია: მეცხოველეობის დარგის განვითარება; ჯიშგანახლების ხელშეწყობა; მაღალმთიანი მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და ზოგადად რეგიონში რძისა და ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობის ხელშეწყობა.

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრმა ავსტრიის განვითარების ფონდთან (ADA) და სომხეთის ფონდთან (CARD) ერთად ხელი მოაწერა პროექტს „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა საქართველოში“. პროექტის მიზანია ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გაზრდა საქართველოსა და სომხეთის საზღვრისპირა ტერიტორიებზე, მსხვილფეხა რქოსან ცხოველთა ტრანსსასაზღვრო დაავადებებზე ინფორმირებულობა, დაავადებათა დროული პრევენცია და კონტროლი. კერძო ვეტერინარული სერვისების და მართვისა და მენეჯმენტის გაუმჯობესება.

2017 წელს, პროექტის ფარგლებში, ქობულეთისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში აშენდება ვეტერინარული კლინიკები, რომლებიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე აპარატურით. კლინიკაში გათვალისწინებულია ფერმერებისათვის საკომფერენციო დარბაზი, ლაბორატორია, საოპერაციო ოთახი, ვეტ. აფთიაქი. საანგარიშო პერიოდში კლინიკისათვის შექმნილი იქნა 18 000 ლარის ღირებულების ინვენტარი. 2017 წლის მაისის თვიდან ფერმერებს შეეძლებათ კლინიკის მეშვეობით მიიღონ კვალიფიციური მომსახურება, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ღონისძიება 3.4.7

მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა (შემნახველი, დამხარისხებელი, შემფუთავი, გადამამუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარების ხელშეწყობა).

ამოცანები

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

რეგიონში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მონაცემებზე დაყრდნობით მოსავლის აღების შემდგომი პერიოდის მოთხოვნების შესწავლა და მისი ტექნიკური და ფინანსური შეფასება კულტურების მიხედვით;

აჭარაში მოსავლის აღების შემდგომი პერიოდის საჭიროებების ანალიზის დოკუმენტი;

X

მოსავლის აღების შემდგომი პროცესების მართვის მოკლევადიანი და საშუალო ვადიანი სტრატეგიის შემუშავება

აჭარაში მოსავლის აღების შემდგომი პროცესების მართვის მოკლევადიანი და საშუალო ვადიანი სტრატეგია;

X

მოსავლის აღებისა და მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ფერმერთა ცნობიერების ამაღლება;

მოსავლის აღებისა და მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ფერმერთან ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა და მათზე დასწრებული ფერმერების რაოდენობა;

X

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის ალტერნატიული სისტემის შექმნა/ხელშეწყობა (მუნიციპალიტეტებში მომსახურების ცენტრებისა და ქალაქ ბათუმში ან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ლოჯისტიკის ცენტრის შექმნა);

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის ალტერნატიული სისტემა წარმოდგენილი მუნიციპალიტეტებში მომსახურების ცენტრებისა და ქალაქ ბათუმში ან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ლოჯისტიკის ცენტრით;

✓

ამოცანა №1: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის ალტერნატიული სისტემის შექმნა/ხელშეწყობა (მუნიციპალიტეტებში მომსახურების ცენტრებისა და ქალაქ ბათუმში ან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ლოჯისტიკის ცენტრის შექმნა);

ამოცანის მიზანია: პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობა, ფერმერთა მოტივაციის ზრდა მეურნეობების ოპტიმიზაციის, წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და ზოგადად კოოპერირების მიმართულებით, ნამეტი პროდუქციის უდანაკარგოდ რეალიზაცია და ფერმერთა შემოსავლების გაუმჯობესება;

სოფლის მეურნეობის დარგში, ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა სწორედ ფერმერების მიერ წარმოებული ნამეტი პროდუქციის ფულად ქცევა და საოჯახო მეურნეობების შემოსავლების ზრდაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო გერთიანებების გაძლიერების გზით, სადაც შესაძლებელი იქნება ერთიან სივრცეში მოქცეული იქნეს წარმოებული პროდუქციის ტრანსპორტირების, შეფუთვის, დასაწყობების, შენახვისა და რეალიზაციის საკითხები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტში შემუშავებული იქნა 2017 წლის ქვეპროგრამა „ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების რეალიზაციის ხელშეწყობა“, ბიუჯეტით 2,644,540 ლარი. ქვეპროგრამა მიზნად ისახავს თითოეულ მუნიციპალიტეტში პროდუქციის შემნახველი და დამხარისხებელ/ დამფასოებელი, თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზებით აღჭურვილი საწარმოებისა და სამაცივრე მეურნეობის შექმნას.

აღწერილი სისტემის შექმნით გამოიზნულია შემდეგი ძირითადი საკითხების გადაწყვეტა: ფერმერებისათვის რეალიზაციის სისტემის შექმნა მათ მიერ წარმოებული პროდუქტების შეუფერხებელი და ეფექტური რეალიზაციის მიზნით; ასევე ფერმერების შემოსავლების საგრძნობი ზრდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციიდან.

დონისძიება 3.4.8
დონისძიება 3.4.9

სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებისა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ამაღლება. სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის ამაღლება.

ამოცანა	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
აგროსექტორში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების უზრუნველსაყოფად სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებზე და ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	სამეურნეო წარმოების საშუალებებზე და ახალი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდილი მაჩვენებლების რაოდენობა	X
აგრომარკეტების შექმნის სტიმულირება/ხელშეწყობა;	აჭარის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი აგრომარკეტი;	✓
სერტიფიცირებული თესლისა და ნერგების მწარმოებელთა ხელშეწყობა;	სერტიფიცირებული თესლისა და ნერგების მწარმოებელი კომპანიები;	✓
აგროტექნიკის მწარმოებელთა/ მიმწოდებელთა ხელშეწყობა;	აგროტექნიკის მწარმოებელთა/მიმწოდებელთა რაოდენობა;	✓
ფერმერთა ტრენინგებისა და კონსულტაციების უზრუნველყოფა;	წარმოების საშუალებებისა და აგროტექნიკის თემატიკაზე ფერმერთან ჩატარებული ტრენინგებისა და კონსულტაციების რაოდენობა;	X

ამოცანა № 1: აგრომარკეტების შექმნის სტიმულირება/ხელშეწყობა;

ამოცანა № 2: სერტიფიცირებული თესლისა და ნერგების მწარმოებელთა ხელშეწყობა;

ამოცანა №3: აგროტექნიკის მწარმოებელთა/მიმწოდებელთა ხელშეწყობა;

ამოცანის მიზანია: ფერმერთა/აგრომეწარმეთა ხელმისაწვდომის ზრდა თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებზე, მათ გამოყენებაზე და დანერგვაზე ფერმერულ მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების ზრდის და ეკონომიკური და ფინანსური ეფექტის მიღების მიზნით;

2017 წლის მარტის თვიდან, გვარას სანერგე მეურნეობაში განთავსებულ 1 000 კვ.მ. ანგარში დაიგეგმა ერთიანი სივრცის - აგრომარკეტის მოწყობა, სადაც თავს მოიყრის სოფლის მეურნეობის წარმოების საშუალებების მწარმოებლები და იმპორტიორები საკუთარი პროდუქციის ფერმერებისათვის ერთ სივრცეში მიწოდების მიზნით.

ამასთან დაკავშირებით, 2016 წლის მესამე კვარტალში გაიმართა შეხვედრები სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებთან და მიღწეული იქნა შეთანხმება აგრომარკეტში მათ მონაწილეობასთან დაკავშირებით.

სტრატეგიული მიმართულება: 3.6

სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა

ღონისძიება 3.6.2

ვეტერინარია

ამოცანები

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

ვეტერინარული სერვისის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტებში ვეტერინარული კლინიკების შექმნა;

ვეტერინარული კლინიკების და ვეტერინარების რაოდენობა მუნიციპალიტეტებში;

X

ვეტერინარული სექტორის ვეტერინარების სწავლება/გადამზადება/სტაჟირება;

ვეტერინარების სწავლება/გადამზადება/სტაჟირების რაოდენობა

✓

მეცხოველე ფერმერთან სისტემატიური კომუნიკაცია ცხოველთა ჯანმრთელობის საკითხებზე (შეხვედრების ორგანიზება და აქტიური თანამშრომლობა)

ფერმერთან ცხოველთა ჯანმრთელობის, კვების, გენეტიკის და მოვლა-პატრონობის თემატიკაზე ჩატარებული შეხვედრების/კონსულტაციების რაოდენობა;

✓

ვეტერინარული მიმართულებით საექსტენციო საქმიანობის გაძლიერება და წარმოება;

პრაქტიკული ვეტერინარული საექსტენციო პროგრამის მომზადება;

✓

ამოცანა №1: ვეტერინარული სერვისის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტებში ვეტერინარული კლინიკების შექმნა.

ამოცანის მიზანია: მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა; ხორცისა და რძის პროდუქტების რეალიზაციის გაუმჯობესება; ხორცისა და რძის პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის გაზრდა; ვეტერინარული და სასურსათო კონტროლის გაძლიერება; სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებებზე ხელმისაწვდომობის ზრდა.

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრმა, ავსტრიის განვითარების ფონდის (ADA) ფინანსური მხარდაჭერით სომხეთის ფონდის (CARD) ხელშეწყობით, ხელი მოაწერა პროექტს „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა საქართველოში“ რომელიც 2017 წელს ხულოსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში ითვალისწინებს თანამედროვე ვეტერინარული კლინიკების შექმნას.

ამოცანა №2: კერძო და საჯარო სექტორის ვეტერინარების სწავლება/გადამზადება/სტაჟირება.

ამოცანის მიზანია: ვეტერინართა კვალიფიკაციის ამაღლება; მეცხოველეობის დარგის განვითარება; ვეტერინარული კონტროლის გაუმჯობესება; დაავადებებთან ბრძოლის ეფექტურობის ზრდა.

2016 წლის მესამე კვარტალი

- ზემოთ ხსენებული „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში 2016 წლის მესამე კვარტლიდან სწავლება ჩაუტარდა 15 ვეტერინარ სპეციალისტს. პროექტი ითვალისწინებს ტრენინგების გაგრძელებას 2017 წელსაც სომხეთსა და ავსტრიაში ვეტერინარების სტაჟირებასთან ერთად. პროექტით გათვალისწინებულია ასევე ერთი სტუდენტის ფასიანი სტაჟირებაც.
- სომხეთიდან მოწვეულმა სპეციალისტმა არმან ოჰანიანმა, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრში, ზემოთ ხსენებული „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში ფერმერებსა და ვეტერინარებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების შესახებ სემინარი ჩაუტარა.

2016 წლის მეოთხე კვარტალში

- ამავე პროექტის ფარგლებში ვეტერინარ სპეციალიტებს თეორიული სწავლება ჩაუტარა ლატვიიდან მოწვეულმა ვეტერინარმა ანდრის ზალიტისმა. ტრენინგის თემას წარმოადგენდა „ვეტერინარული ბიზნესის ორგანიზება და კლინიკური მასტიტი“.

ამოცანა №3: მეცხოველე ფერმერებთან სისტემატიური კომუნიკაცია ცხოველთა ჯანმრთელობის საკითხებზე (შეხვედრების ორგანიზება და აქტიური თანამშრომლობა).

ამოცანის მიზანია: ფერმერთა ინფორმირებულობისა და კვალიფიკაციის ამაღლება; მეცხოველეობის დარგის სტიმულირება; დაავადებებთან ბრძოლის ეფექტურობის ზრდა.

სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო დეპარტამენტის მუნიციპალური განყოფილებების სპეციალისტების მიერ ცხოველთა ჯანმრთელობის საკითხებზე კონსულტაციები მიეწოდა 2500-ზე მეტ ფერმერს;

ამოცანა №4: ვეტერინარული მიმართულებით საექსტენციო საქმიანობის გაძლიერება და წარმოება;

ამოცანის მიზანია: მეცხოველეობის დარგში ექსტენციის მომსახურების მიწოდება; ვეტერინარების და მეცხოველეობით დაინტერესებული ფერმერების ცნობიერების ამაღლება; მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა;

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში ვეტერინარული კუთხით ახორციელებდა ექსტენციას, რომლის ფარგლებში პერიოდულად სპეციალისტებსა და ფერმერებს უტარდებოდათ ტრენინგები.

ექსტენციის სამსახური, მსხ. რქ. პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით, რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტში და თვითმმართველ ქალაქ ბათუმში ფერმერებს სთავაზობს სერვისს ფურების ხელოვნური დათესვის სახით;

საანგარიშო პერიოდში ექსტენციის სამსახურის ხელოვნური განაყოფიერების სადგურის სპეციალისტები მოსახლეობის შეტყობინებების საფუძველზე გავიდნენ **1,356** გამოძახებაზე, ხელოვნური განაყოფიერება ჩატარდა **1,205** ფურს, მათ შორის:

- ქ. ბათუმი და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - **316**;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტი - **302**;
- ქედის მუნიციპალიტეტი - **53**,
- შუახევის მუნიციპალიტეტი - **86**;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - **331**;

ღონისძიება 3.6.3

მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარული კეთილსაიმედოობა

ამოცანები

ლაბორატორიის საქმიანობისა და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება სასოფლო-სამეურნეო კულტურებში ვირუსული და სოკოვანი დაავადებების დიაგნოსტიკაზე ევროპული რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად; (კარტოფილის მურა და რგოლური სიდამპლის, კვიის ბაქტერიული კიბოს, ფიტოფტორიზის, ატმის ბაქტერიული ხმოზის, კარტოფილის ტუბერის თითისტარისებრი ვიროიდის და სხვა)

მცენარეთა დაცვის და ფიტო სანიტარული კეთილსაიმედოობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტებში მცენარეთა დაცვის პუნქტების შექმნა;

რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურებში გავრცელებული მავნებელ-დაავადებების შესწავლა და დიაგნოსტიკა;

ნიადაგის შესწავლა და პასპორტიზაცია;

კერძო და საჯარო სექტორში დასაქმებული მცენარეთა დაცვის სპეციალისტების სწავლება/ გადამზადება/ სტაჟირება

ფერმერებთან სისტემატიური კომუნიკაცია მცენარეთა დაავადებების დროული დიაგნოსტიკისა და გასატარებელი აგროქიმიური ღონისძიებების საკითხებზე;

მცენარეთა დაცვის და ფიტოსანიტარული კეთილსაიმედოობის მიმართულებით საექსტენციო საქმიანობის გაძლიერება და წარმოება;

შესრულების ინდიკატორი

სასოფლო-სამეურნეო კულტურებში გავრცელებული მავნებელ-დაავადებების დიაგნოსტიკის მიზნით გამოკვლეული ნიმუშების რაოდენობა;

მცენარეთა დაცვის პუნქტების რაოდენობა

სასოფლო-სამეურნეო კულტურებში გავრცელებული მავნებელ-დაავადებების შესწავლილი რაოდენობა

შესაბამისი დოკუმენტი

ენტემოლოგების, ფიტოპათოლოგების სწავლება/გადამზადება/სტაჟირების რაოდენობა;

ფერმერებთან მცენარეთა დაავადებების დროული დიაგნოსტიკისა და გასატარებელი აგროქიმიური ღონისძიებების საკითხებზე ჩატარებული შეხვედრების/კონსულტაციების რაოდენობა;

პრაქტიკული ენტემოლოგიის და ფიტოპათოლოგიის საექსტენციო პროგრამის მომზადება;

შესრულება

X

✓

X

X

X

✓

X

ამოცანა №1: მცენარეთა დაცვის და ფიტო სანიტარული კეთილსაიმედოობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტებში მცენარეთა დაცვის პუნქტების შექმნა;

ამოცანა №2: ფერმერებთან სისტემატიური კომუნიკაცია მცენარეთა დაავადებების დროული დიაგნოსტიკისა და გასატარებელი აგროქიმიური ღონისძიებების საკითხებზე; ბაზარზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოება; ფერმერთ ცნობიერების ამაღლება.

ამოცანის მიზანია: ფერმერულ მეურნეობებში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდა; მცენარეთა მავნებელ-დაავადებების საწინააღმდეგოდ პრევენციული ღონისძიებების გატარების ხელშეწყობა;

სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო დეპარტამენტის მუნიციპალური განყოფილების სპეციალისტების მიერ 2016 წლის განმავლობაში მემცენარეობის დარგის სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ საჩითილე მასალის გამოყვანა, მყნობა, მინერალური და ორგანული სასუქების შეტანის ვადები, პესტიციდები, მცენარეთა დაავადებების წინააღმდეგ ინტეგრირებული მეთოდები, მოსავლის აღების/შენახვის სპეციფიკა და სხვა, კონსულტაცია გაეწია 11 ათასზე მეტ ფერმერს. კერძოდ:

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში - 1 762 ფერმერს;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში - 5 196 ფერმერს;
- ქედის მუნიციპალიტეტში - 2 242 ფერმერს;
- შუახევის მუნიციპალიტეტში - 180 ფერმერს;
- ხულოს მუნიციპალიტეტში - 2 522 ფერმერს;

2016 წლის მესამე კვარტალში გაეროს განვითარების პროექტის დაფინანსების ფარგლებში ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრსა და საინფორმაციო-საკონსულტაციო დეპარტამენტის მუნიციპალურ განყოფილებებს გადაეცა ელექტრონული მიკროსკოპები. სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა მავნებელ-დაავადებების იდენტიფიცირებისათვის.

ღონისძიება 3.6.4

ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება და სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის მიზნებისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების (ტესტირების) წარმოება

ამოცანები

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

სურსათის ლაბორატორიული კვლევის შესაძლებლობების გაზრდა, კვლევის საერთაშორისო მეთოდების დანერგვა, ასაღები ნიმუშების რაოდენობის, სურსათის სახეობებისა და საკვლევი პარამეტრების შერჩევა საფრთხეების ადეკვატურად, რაც უზრუნველყოფს სამომხმარებლო ბაზრის დაცვას და პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობას;

სურსათის მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან, იმპორტიორებთან და დისტრიბუტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

✓

ევროკავშირის მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად უახლესი აპარატურის შექმნა;

შემენილი აპარატურის რაოდენობა და სახეობა

✓

ლაბორატორიული კვლევების შედეგების მონაცემთა ბაზის შექმნა;

გამოკვლეული ნიმუშების რაოდენობა; მონაცემთა ბაზების არსებობა;

✓

სასურსათო პროდუქციის სერტიფიცირება - აკრედიტირებული სასერტიფიკაციო ორგანოს შექმნის ფარგლებში;

სერტიფიცირებული სასურსათო პროდუქციის რაოდენობა

X

საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) ეფექტიანი იმპლემენტაციისთვის კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლება სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან დაკავშირებით;

კერძო სექტორთან გამართული შეხვედრების რაოდენობა

X

საერთაშორისო (მათ შორის ევროკავშირის) ლაბორატორიებთან თანამშრომლობის გაღრმავება;

საერთაშორისო ლაბორატორიებთან დადებული მემორანდუმების რაოდენობა

✓

სპეციალისტების სწავლება/ გადამზადება/სტაჟირება;

სპეციალისტების სწავლება/ გადამზადება/ სტაჟირების რაოდენობა;

X

ბიზნესოპერატორებთან სისტემატიური კომუნიკაცია სურსათის უვნებლობის საკითხებზე;

ბიზნესოპერატორებთან, იმპორტიორებთან და დისტრიბუტორებთან სურსათის უვნებლობის საკითხებზე ჩატარებული შეხვედრების/კონსულტაციების რაოდენობა;

X

სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის მიმართულებით საექსტენციო საქმიანობის გაძლიერება და წარმოება;

სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის მიმართულებით ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა

X

ამოცანა №1: სურსათის ლაბორატორიული კვლევის შესაძლებლობების გაზრდა, კვლევის საერთაშორისო მეთოდების დანერგვა, ასაღები ნიმუშების რაოდენობის, სურსათის სახეობებისა და საკვლევი პარამეტრების შერჩევა საფრთხეების ადეკვატურად, რაც უზრუნველყოფს სამომხმარებლო ბაზრის დაცვას და პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობას;

ამოცანის მიზანია: ადგილობრივი სამომხმარებლო და ექსპორტზე ორიენტირებული უსაფრთხო და უვნებელი პროდუქციის რეალიზების ხელშეწყობა, მომხმარებელთა ინტერესების დაცვა;

2016 წლის 12 თებერვალს აკრედიტაციის სფეროს გაფართოების მიზნით ჩატარდა დამატებითი სფეროს შესავასებელი სამუშაოები. აკრედიტაცია დამატებით სფეროში მოიცავდა შემდეგს:

- სასმელი წყალი (წყალმომარაგების ცენტრალიზირებული და არაცენტრალიზირებული) დაფასობული და არადაფასობული, ზედაპირული წყლები (მდინარეები, ტბები, ზღვა) - ქრომის მაჩვენებელი;
- მარცვალი და მარცვალგადამუშავების პროდუქტები (ფქვილი, ბურღული, საფუარი, სახამებელი) - ვარდნის რიცხვის განსაზღვრა;

სურსათის მიკრობიოლოგიური უვნებლობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N581 დადგენილების ახალი ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად და სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის N567 დადგენილების საფუძველზე დაინერგა კვლევები სურსათის მიკრობიოლოგიურ კრიტერიუმებზე და დამაბინძურებლებზე;

ორგანიზაციების ნუსხა, რომლებთანაც თანამშრომლობს სსიპ კვლევითი ლაბორატორიული ცენტრი, იხილეთ **დანართი №6-ში**

ამოცანა № 2: ევროკავშირის მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად უახლესი აპარატურის შექმნა.

ამოცანის მიზანია: ლაბორატორიული შესაძლებლობების გაუმჯობესება და სრულად გამოყენება რეგიონში სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობის, ფიტოსანიტარული კეთილსამედობისა და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის გაზრდის მიმართულებით.

2016 წელს, სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში შესყიდული იქნა შემდეგი დანადგარები/აპარატები:

- **რეალურ დროში პოლიმერული ჯაჭვური რეაქციის მოწყობილობა აპარატურა** - სტუდიური ბლოკი 5 კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით და ინტეგრირებული თერმოციკლერით (Quant Studio 5 Real-Time PCR) გენმოდიფიცირებული პროდუქტების იდენტიფიცირებისათვის (რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი);
- **რეალურ დროში პოლიმერული ჯაჭვური რეაქციის მოწყობილობა აპარატურა** - სტუდიური ბლოკი 3 თავისი კომპლექტით (Quant Studio 3 Real-Time PCR) - კვების პროდუქტებში სალმონელას სახეობების (*Salmonella spp.*) და ლისტერია მონოციტოგენეზის (*Listeria monocytogenes*) დნმ-ს იდენტიფიცირებისათვის 48 საათის განმავლობაში;
- **გაზური ქრომატოგრაფი ტანდემური მასსპექტომეტრით, სამმაგი კვადრუპოლური ტიპის (Trace 1310 TSQ TM Dup Triple Quadrupole GC-MS/MS)** პესტიციდების განსაზღვრისათვის;
- **მაღალი სიზუსტის თხევადი ქრომატოგრაფი ფლუორესცენტული დეტექტორით, სვეტების თერმოსტატი, პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერული სამუშაო სადგურით (HPLC Ultimate TM 3000 System)** - აფლატოქსინებისა და ჰისტამინის განსაზღვრისათვის.

ამოცანა №3: ლაბორატორიული კვლევების შედეგების მონაცემთა ბაზის შექმნა.

ამოცანის მიზანია: მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ეფექტური, პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და გატარება; რისკების იდენტიფიცირება და თავიდან აცილება.

საანგარიშო პერიოდში სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრში სხვადასხვა დამკვეთი ორგანიზაციებიდან მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტის, სასმელი წყლის, ჩამდინარე წყლის, მდინარის წყლის, აუზის წყლის, სუსტალკოპოლური სასმელების, ზღვის

წყლის, სადუხინფექციო საშუალებების, ჩამონაბან-ჩამონარეცხის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, მასალისა და ობიექტის მავნებელ-დაავადებებზე შესწავლის მიზნით სსიპ სულ შემოსული და გამოკვლეული იქნა 15,207 ნიმუში. ჩატარებული სამუშაოების ფონზე შექმნილია საინფორმაციო ბაზები, რომლებიც იძლევა საშუალებას გაანალიზებული იქნეს არსებული შედეგები და რისკების თავიდან აცილების მიზნით გატარდეს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.

ამოცანა №4: საერთაშორისო (მათ შორის ევროკავშირის) ლაბორატორიებთან თანამშრომლობის გაღრმავება;
ამოცანის მიზანია: საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ინსტიტუციური გაძლიერება და საქმიანობის სფეროს გაფართოება;

საგამოცდო ლაბორატორიამ მონაწილეობა მიიღო UKAS-ს (United Kingdom Accreditation Service) მიერ აკრედიტირებულ საერთაშორისო ორგანიზაცია FAPAS (დიდი ბრიტანეთის სასურსათო პროდუქციის და გარემოს კვლევების სააგენტოს საერთაშორისო ორგანიზაცია) მიერ გამოცხადებულ ორ რაუნდში LEAP CHEM Proficiency Test C0397 და Food Chemistry Proficiency Test 07256. კერძოდ, სასმელ წყალში ტოქსიკური ელემენტების (Pb, Cd, Zn, Cu, Ni, Cr, Mn, Al) და კვების პროდუქტებში ტოქსიკური ელემენტების (As, Cd, Cu, Zn) კვლევებში.

სტრატეგიული მიმართულება 3.7

კლიმატური ცვლილება, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება

ღონისძიება 3.6.4

„კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის“ პრინციპებით ხელმძღვანელობა, ბიომრავალფეროვნებისა და მდგრადი გარემოსდაცვითი პროგრამების შემუშავება

ამოცანა

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის პრინციპების შემუშავება;

კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის პრინციპების დოკუმენტი;

X

კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გაცნობის მიზნით საინფორმაციო პაკეტის შემუშავება და ფერმერებსა და სხვა აგრომწარმოებლებზე მიწოდება;

ფერმერების რაოდენობა, რომელიც გაეცნო კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის პრინციპებს/ მაგალითებს;

X

კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის პრაქტიკული მაგალითების წარმოჩენა;

კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გაცნობის მიზნით აგროტურების ჩატარება;

X

კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის პრინციპებზე დაყრდნობით პროგრამების შემუშავება და ამ გზით სტიმულირება;

კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის პრინციპების გათვალისწინებით შემუშავებული პროგრამების რაოდენობა და თემატიკა;

X

ლანდშაფტური მიდგომებისა და ეკოსისტემური სერვისების დემონსტრირება და მათ შესახებ ცნობიერების ამაღლება;

სწავლებებისა და ტრენინგების რაოდენობა

X

თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, გარემოს დაცვის, ტურიზმისა და ეკონომიკის სექტორებს შორის;

თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული პროექტების რაოდენობა

X

სამოვრების მონაცვლეობის პრაქტიკის შემოღება;

სამოვრების მონაცვლეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება

X

ეკოსისტემური სერვისების ინტეგრირება ფერმების მართვაში;

ინტეგრირებული სერვისების რაოდენობა

X

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთან კომპეტენციის ფარგლებში შემდეგი ტიპის სამუშაოების ჩატარება: აჭარის რეგიონის აგრარული ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი სათიბ-სამოვრების ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება; აგრარული ეკოსისტემებისა და ბუნებრივი სათიბ-სამოვრების მდგრადი გამოყენების სტრატეგიის შემუშავება და ადგილობრივი თვითმმართველობების სამოქმედო დოკუმენტში შესაბამისი ღონისძიებების ჩართვა;

შემუშავებული დოკუმენტი ბუნებრივი სათიბ-სამოვრების ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ,

X

ღონისძიება 3.7.3

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა

ამოცანები

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

სასოფლო-სამეურნეო სექტორზე კლიმატის ცვლილების გავლენის ეკონომიკური შეფასება;

სასოფლო-სამეურნეო სექტორზე კლიმატის ცვლილების გავლენის ეკონომიკური შეფასების დოკუმენტი;

X

საინფორმაციო ბაზის შექმნა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სოფლის მეურნეობის დარგზე კლიმატის ცვლილებითა და სტიქიური მოვლენების შედეგად გამოწვეული ზეგავლენის შესახებ;

განახლებადი საინფორმაციო ბაზა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სოფლის მეურნეობის დარგზე კლიმატის ცვლილებითა და სტიქიური მოვლენების შედეგად გამოწვეული ზეგავლენის შესახებ;

X

ევროკავშირის დირექტივებისა და საერთაშორისო დოკუმენტებთან ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად მოთხოვნების შესწავლა;

კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან მიმართებაში ევროკავშირის დირექტივებისა და საერთაშორისო დოკუმენტებთან ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი;

X

კატასტროფების რისკის მართვის სტრატეგიასა და შესაბამის ქმედებებში ინტეგრაცია კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების შერბილების მიზნით;

აჭარის რეგიონში კატასტროფების რისკის მართვის სტრატეგიასა და შესაბამის ქმედებებში ინტეგრაციის სამოქმედო გეგმა;

X

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მიდგომებსა და ტექნოლოგიებში, რათა მან ჩაატაროს სამეცნიერო შეფასებები და მიღებული შედეგები გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების ტრენინგი კლიმატგონივრული პოლიტიკის საკითხებში;

X

აგროკლიმატური მონიტორინგის, ანალიზისა და საკომუნიკაციო სისტემების დანერგვა/გაძლიერება და გამოყენება სოფლის მეურნეობის დარგში;

აგროკლიმატური მონიტორინგის, ანალიზისა და საკომუნიკაციო სისტემების პროგრამები;

X

მიწის რესურსების მდგრადი მართვის, მათ შორის საძოვრების მართვის პროგრამის შედგენა;

მიწის რესურსების მდგრადი მართვის, მათ შორის საძოვრების მართვის პროგრამა;

X

საუკეთესო, კლიმატგონივრული პრაქტიკის დანერგვა ფერმერებთან;

კლიმატგონივრული პრაქტიკის დანერგვის მაგალითები (რაოდენობა და თემატიკა) ფერმერებთან;

X

რესურსების ეფექტიანი გამოყენების ტექნოლოგიების შემოტანისა და დანერგვის ხელშეწყობა;

კლიმატგონივრული პრაქტიკის თემატიკაზე მონაწილე მხარეების (სტეიკჰოლდერების) ჩართულობა და რაოდენობა;

X

სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედი მხარეების ცნობიერების ამაღლება;

კლიმატგონივრულ ტექნოლოგიების ეკონომიკური შეფასება და მისი უპირატესობის დასაბუთება წარმოების ტრადიციულ ტექნოლოგიებთან მიმართებაში.

X